


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ტოტოტიც ბეჭდუდი სიფყვას, ცყუილებით და ჭაბრით ბუძთის გაფანა ყულა უჯადრისდბაჩე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 22 თებერვალი, 2014 წელი.
№38 (7419)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

ქართველი თავისი უბნებით ეპროკალია, თავისი ბუნებით – დასავლური სივილიზაციის ნაწილი

საქართველოს პრეზიდენტის ბიორგბი მარგველაშვილის გამოსვლა საქართველოს პარლამენტში 2014 წლის 21 თებერვალს



ლოს მონანილეობის თაობაზე. პრეზიდენტის განცხადებით, საქართველომ სამ ოპერაციაში მონანილეობაზე მიიღო მინვევა, რასაც მხარი დაუჭირა.
– ამ მისიებში მონანილეობა ზრდის როგორც გლობალურ უსაფრთხოებას, ასევე ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას. შესაბამისად, მე, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, მიზანშეწონილად მიმაჩნია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ასეულის გაგზავნა. მივმართავ, საქართველოს პარლამენტს, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, – განაცხადა პრეზიდენტმა.
საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის ტრიბუნიდან ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ლიდერებს მიმართა. მარ-

გველაშვილმა გუშინ საქართველოს პარლამენტის წინაშე თავისი პირველი ანგარიშით გამოსვლისას, აფხაზებს და ოსებს საქართველოს ევროპული კურსიდან პირდაპირი სარგებლის მიღება შესთავაზა.
– არაღიარების კურსი არ ნიშნავს იზოლაციონიზმს. ჩვენს თანამოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, უნდა მივცეთ შესაძლებლობა, საქართველოს ევროპული კურსიდან პირდაპირი სარგებელი მიიღონ. ურთიერთობების აღდგენის პარალელურად, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა, საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით უნდა ჩაერთოთ ევროკავშირთან ერთობლივ ეკონომიკურ, სავაჭრო, საგანმანათლებლო, ჰუმანიტარულ პროექტებში, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფო სტრატეგიით „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“. აფხაზ და ოს თანამემამულეებს მინდა, მივმართო იგივე სიტყვებით, რითაც მივმართე ჩე-

მი წინასაარჩევნო საპროგრამო გამოსვლის დროს: ჩვენ გთავაზობთ ევროპულ ქვეყანას, თავისუფალ, განვითარებულ, დემოკრატიულ და მშვიდობიან სახელმწიფოში ცხოვრებას, რომელიც მისი ყველა მოქალაქის კეთილდღეობის და მათი პოლიტიკური უფლებების ხელშეწყობის გარანტი იქნება. ასევე, მინდა, მივმართო ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო რეჟიმის ხელმძღვანელებს – ნუ წახვალთ საკუთარი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, ნუ ეცდებით ახალი ბარიერების შექმნას იმ ხალხებს შორის, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი, ერთიანი სახელმწიფო აკავშირებს. ჩვენი ერთიანობა მრავალი შეცდომითა და გარე ძალების უხეშ ჩარევით იქნა დარღვეული, რაც ყველას ძალიან მძიმედ, ჩვენივე ხალხის სისხლის ფასად დაგვიჯდა, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ჩვენ მზად ვართ გაეროსა და ევროკავშირის მისიებში მონანილეობისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2014 წლის 21 თებერვალს საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.
მისი თქმით, 2013 წელს ვილინუსში ხელი მოეწერა ჩარჩო ხელშეკრულებას ევროკავშირის კრიზისის ოპერაციებში საქართვე-

ნ. 2 33

გაზეთში ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება თუ გინდათ, ჩვენთან მოზრქანდით!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.
ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge. ტელეფონები: 299 62 77; 5 99 79 76 79.

საქართველოს მესნიერებისა და განათლების მომავალი

3

მოახლოებული ეპროკა და... შავი „ლაქები“ სიქათქათეში

5

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

ქართული თავისი უბნებით ეპროპოლია, თავისი ბუნებით – დასავლური ცივილიზაციის ნაწილი

(პირველი გვერდიდან)

მისივე თქმით, დღეს საფრთხის ქვეშ დგას აფხაზების და ოსების იდენტობა და მისი დაცვის ყველაზე მყარ გარანტიას საქართველოს ერთიანობა წარმოადგენს.

– ამიტომ, თუ თქვენთვის ოდნავ მაინც ძვირფასია აფხაზების, ოსების, და ზოგადად, ამ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი მოსახლეობის მომავალი, ნუ მოაქცევთ მათ იზოლაციაში, – დასძინა მარგველაშვილმა.

სტაბილური განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების მთავარ პრობლემად კიდევ რჩება დარღვეული ტერიტორიული და საზოგადოებრივი მთლიანობა, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, 2013 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ყველაზე მტკივნეული პრობლემა, ტერიტორიული მთლიანობის გადარღვევისა, მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს.

– ის, რომ ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით უნდა განხორციელდეს, უმნიშვნელოვანესია და ასევე უმნიშვნელოვანესია ამ კურსის უცვლელობა. ეს კურსი ეფუძნება სახელმწიფოს სუვერენიტეტის, საზღვრების ურღვევობის, არაღიარების პოლიტიკის გაძლიერებისა და ქვეყნის დეოკუპაციის პრინციპებს... ამ კურსის გაგრძელების პროცესში ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება დევნილებისა და ლტოლვილების უპირობო, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება.

უმნიშვნელოვანესია გააქტიურდეს გაეროს და ეუთოს როლი ამ პროცესში და ეს ხალხი დაუბრუნდეს თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ჩემთვის აღმართოვანებელია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელის პოზიცია, როდესაც საქმე ეთნიკურ ან რელიგიურ ჩაგვრას ეხება, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

– თვითმმართველობა უმნიშვნელოვანესია ჩვენსათვის ერთიანობის და რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყნისთვის. იმის შეგრძნება, რომ ყველანი ერთად ვმართავთ

და განვითარებთ ჩვენს ქვეყანას, არის ის, როგორ შეიძლება აყვავდეს ჩვენი ქვეყანა. ასე ქმნიდა გაერთიანებულ, ძლიერ საქართველოს ჩვენი ყველაზე დიდი მეფე დავით აღმაშენებელი. ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობდნენ სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლები. ეს სორციელდებოდა ქრისტიანულ ქვეყანაში. დიას, შემწვანარებლობა უპირველესად სწორედ ქრისტიანული ფასეულობა და ტრადიციაა. მართლმადიდებელი ეკლესიის როლი, რომელიც საზღვარსდგამია ჩვენს კონსტიტუციაში, მნიშვნელოვანია ჩვენს სულიერ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, – თქვა პრეზიდენტმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მიმდინარე წლის 15 ივნისს გაიმართება.

სიტყვით გამოსვლისას მარგველაშვილმა თვითმმართველობის რეფორმის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

მისივე თქმით 2014 წლის არჩევნები უნდა იყოს თვისობრივად უკეთესი და არა იმაზე ნაკლები, რაც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იყო.

– ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანაა, რითაც დავასრულებთ 2012 წელს დაწყებულ დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესს. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკურმა ძალებმა, სადამკვირვებლო მისიონერების შესახებ და დაიწყო არჩევნებისთვის დროული მზადება, მინდა მოგახსენოთ – არჩევნები დაინიშნება მიმდინარე წლის 15 ივნისს. შესაბამისს განაცხადებებს მოვანერხებს მას შემდეგ, რაც პარლამენტი საარჩევნო კოდექსს მიიღებს, – განაცხადა მარგველაშვილმა.

სამშუბროდ, დღემდე ქართული ტრადიციების სახელმწიფოებრივ კონტექსტში და სახელმწიფო ინსტიტუტებში გადატანის შესაძლებლობა არ გვეძლეოდა.

– დღეს ჩვენი მიზანია, ავაშენოთ ქართული სახელმწიფო საქართველოს მოქალაქეებისათვის. ასეთ სახელმწიფოს მე ვხედავ როგორც თავისუფლების, ტოლერანტობის, შესაძლებლობას, შემოქმედების, შრომის, თანხმობის, სოლიდარობის ტრადიციებზე



დაფუძნებულ ქვეყანას. როდესაც ესაუბრობ ტრადიციებზე, აქ მხოლოდ ფორმალურ ტრადიციებს არ ვგულისხმობ. არამედ ესაუბრობ ტრადიციას იმ სულზე, რომელიც გასდევს მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიას. ამ ტრადიციებში მე პროგრესისკენ სწრაფვას, განახლებას, აღორძინების ნიჭს მივიჩნევ, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ჩვენ ორიენტირებული ვართ მომავალზე და ამავედროულად ვსწავლობთ სხვებისგან.

– ქართველი, თავისი ინდივიდუალური შეგნებით ევროპელია, თავისი ბუნებით დასავლური ცივილიზაციის ნაწილია, მაგრამ სამშუნაროდ, დღემდე ჩვენ არ გვეძლეოდა შესაძლებლობა სწორედ ამ ინდივიდუალურობაზე დამყარებული ქართული სახელმწიფოს შექმნისა და ქართული ტრადიციების სახელმწიფოებრივ კონტექსტში და სახელმწიფო ინსტიტუტებში გადატანისა. მე ღრმად მწამს, რომ ეს არის ჩვენი დღევანდელი გამოწვევა, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

უპარბინაში ხელისუფლებამ გამოიყენა ძალა თავისი მოქალაქეების წინააღმდეგ,

გადავიდა იმ ზღვარს, რომლის გადასვლაც დაუშვებელია ნებისმიერი ხელისუფალისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, უკრაინაში პროტესტი დაიწყო იმიტომ, რომ ხელისუფლებამ შეაჩერა ასოცირების ხელმოწერა ევროკავშირთან. „სამშუნაროდ, იმის ნაცვლად, რომ უკრაინის ხელისუფლებას გაეღრმავებინა პოლიტიკური დიალოგი, გამოიყენეს ძალა. უკრაინის ხელისუფლებას უნდა ესმარა ყველა ღონე იმისთვის, რომ საზოგადოება გაერთიანებინა და არ დაეპირისპირებინა ერთმანეთთან“.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, მან გუშინაც მოუწოდა ვიქტორ იანუკოვიჩს, რომ მას ჯერ კიდევ აქვს გადამწყვეტი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა იმისთვის, რომ დაიცვას მთავარი, რაც უნდა დაიცვას ხელისუფლებამ – მოქალაქეთა სიცოცხლე და ამავე დროს ქვეყნის ერთიანობა და მთლიანობა.

© ისევ რეფორმა

უინაბან საქმეთა სამინისტროს ახალი სტრატეგია

უინაბან საქმეთა სამინისტრო ის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურაა, რომლის გამართლად მუშაობაზე არის დამოკიდებული თითოეული მოქალაქის ბედი. ჩვენ ვცხადავთ, როგორ უნდა დავაძლიეროთ „ხერხემალი“ ყოფილ უინაბან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს და რა მეთოდებით მოახერხებ მან ამ სასტიკის პოლიტიკაში. თანამშრომლები აღფრთოვანებით ჰყვებოდნენ, თუ როგორ ულოცავდა მინისტრი პირდაპირ ტელეფონით დაბადების დღეს, როგორ არ ავიწყდებოდა დღესასწაულები და კოლეგების დასაჩუქრება... ეს ის წვრილმანი დეტალებია, რომელმაც აბსოლუტურად მოაღწია უბუნებო გასადა ეს სფერო, სამშუნაროდ, არც თუ სასურველი ფორმით.

ვერ გეტყვით, მოკლე დროში შეძლო თუ არა ახალმა უინაბან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაძემ ვიმეს გულის მონადირება, მაგრამ ის ჯერჯერობით სულაც არ ჰგავს „რუს კარდინალს“. მინისტრი დიმიტრი უშურველად აფრქვევდა სასტიკო „რედისონში“ გამართულ ლონისძიებაზე, სადაც საზოგადოებას მიმდინარე წლის სამოქმედო სტრატეგია წარუდგინა.

ასეთი სახის საჯარო დოკუმენტი ამ სტრუქტურას 2013 წლამდე არც ჰქონია. ბევრი ინერტობდა ხოლმე უინაბან საქმეთა სამინისტროს „გათანამებროვებაზე“ თუმცა ასე განვიხილავთ და ჩამოყალიბებულად სამოქმედო გეგმაზე აქამდე არავის უმუშავია. ახალი სტრატეგია როგორც ითქვა, მინისტრის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა.

დოკუმენტი იწყება იმ ანაბან-

თი, რომელიც ყველასათვის მარტივად გასაგებია: „უინაბან საქმეთა სამინისტროს მისიაა უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობას მიანდოლოს ისეთი ხარისხის მომსახურება, რომ თითოეულ ადამიანს ჰქონდეს უსაფრთხოების მაღალი განცხდა, საკუთარი ღირსებისა და ძირითადი უფლებების მაქსიმალური დაცვების პირობები“.

ჩვენს რეალურად ასეთი მაღალი ხარისხის უსაფრთხოებისგან ალბათ, ჯერ შორს ვართ, თუმცა სურვილი რომ გაჩნდა, ესეც კარგია. ამისთვის კი საჭიროა რეფორმირებული შსს-ს ხელახალი რეფორმა.

სტრატეგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „2012 წლის ნოემბრიდან სამინისტრო გაათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩამოყალიბდა, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია. შსს გააგრძელებს დემოკრატიის ადგილობრივ კურსს, ხოლო უცვლელი დარჩება სამინისტროს სისტემაში 2013 წელს დამკვიდრებული მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრინციპი საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში“.

მოახლოებული არჩევნების წინ ასეთი საჯარო „ფიცი“ და დეკლარირება, თუკი რა თქმა უნდა, შესრულდება, უდავოდ მნიშვნელოვანია. ჩავლით ორმა არჩევნებმა ამის თქმის უფლება მისცა ამ სისტემას, რადგან გასული წლების განსხვავებით, თითქმის არ შეინიშნებოდა ძალოვანების საარჩევნო პროცესებში უხეშად ჩარევა.

„ადამიანის უფლებების დაცვა შსს-ს მთავარი პრიორიტეტია,

– აღნიშნულია დოკუმენტში, – მიმდინარე წლიდან ამოქმედდა „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც წინა კანონისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტებს ითვალისწინებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმება ადამიანის უფლებების დაცვას თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში, როგორც ცხელი დროებითი მოთავსების იზოლაციონებები და არაღივალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი“.

დამეთანხმებით, რომ პოლიციის რეფორმა წყალში ჩაყრილი იქნება, თუკი არ შეიცვალა ადამიანური რესურსი და მით უმეტეს, მენტალიტეტი. წინა ხელისუფლებამ ეს მოახერხა მაღალი ხელფასების დანიშნითა და პოლიციელთა „ზომბირებით“. რამდენად შეძლებს „ახალი პოლიციელი“ გამოყვანას ჭიკაძის უწყება, ამასაც გზადაგზა ვნახავთ, თუმცა ამჯერად რადიკალური გარდასახვა ამ მიმართულებით არა გვაქვს. საგულისხმოა და უდავოდ კარგი ფაქტია ის, რომ „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონის შესაბამისად პოლიციაში დასაქმების მსურველთა მიმართ მოხისხნა შედა ასაკობრივი ზღვარი – 35 წელი.

სამინისტროს სისტემაში იქმნება საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო და დაგეგმილია ყველა დონის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გაერთიანება. მეტი ყურადღება მიექცევა საგზაო უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესებას: საქართველოს მთელს ტერიტორიაზე დამატებით დამონტაჟდება სიჩქარის მზომი რადარები, საავტომობილო გზ-

ბის მაღალი რისკის მონაკვეთებზე დადგინდება ე.წ. „შავი ნერტივები“, ასევე გატარდება სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

სტრატეგიაში ჩაინერგა სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რადიოკავშირის სისტემის მოდერნიზაციას. რაც შეეხება საზღვაო სივრცეს, ამ მიმართულებით იგეგმება საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის შექმნა.

ვინაიდან საქართველო ტრანზიტული ქვეყანაა, აქ განსაკუთრებით იჩენს ხოლმე თავს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხე. უახლოეს დღეებში შეიქმნება საკოორდინაციო საბჭო, რომელიც დაამტკიცებს ქმრბ საფრთხეების შემცირების ეროვნულ სტრატეგიას. ივნისში კი უშუალოდ მინისტრი უმასპინძლებს „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული მეცნიერებისა და შედეგების მართვის კონგრესს“.

ბოლო ხანს, სამშუნაროდ, ვვლავ აქტუალური გახდა ნარკომანიის თემა, რომელმაც რამდენიმე ახალგაზრდის სიცოცხლე შეინირა. სამინისტროს პრიორიტეტი გახლავთ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის განხორციელებას ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად გვემავს. დოკუმენტში მთელი ორი თავი ეთმობა ტერორიზმისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. ნათქვამია, რომ გაღრმავდება თანამშრომლობა ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სტრუქტურ-

რებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და მეზობელ სახელმწიფოსთან.

სტრატეგიაში მოხვდა მომსახურების სააგენტოს გაუმჯობესება, რაც გულისხმობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სარეგისტრაციო დარბაზის მოდერნიზაციას და ცხელი ხაზის რეფორმას. 2014 წელს შემოვა ახალი ტიპის სანომრე ნიშნები. გამარტივდება მართვის მოწმობის მისაღებად პრაქტიკული გამოცდების ჩაბარება.

რეფორმა შეეხება ყბადავლულ „112“-ს, რომელიც მილიონობით აბონენტს ყოველ თვეს გვაჭრის უწყინარ 20 თეთრს. ეს ტენდენცია, სავარაუდოდ შენარჩუნდება. 2014 წელს ექსპლუატაციაში შევა ალტერნატიული ცენტრი. გვპირდებიან, რომ ეს ცენტრი უფრო შეძლებს ზარემის ეფექტიან მართვას.

შსს-ს პირდაპირი ვალდებულებაა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. მუშავდება ახალი დოკუმენტი – „ასოცირების დღის წესრიგი“, რომელიც ევროპული ინსტრუმენტების პოლიტიკის სამოქმედო გეგმას ჩაანაცვლებს... სტრატეგია კიდევ ბევრ საინტერესო ნიუანსს მოიცავს... რაც მთავარია, საზოგადოებამ უკვე იცის, თუ რა უნდა აკეთოს პოლიციამ, რათა მან გამართულად და ხარისხიანად იმუშაოს. პასუხისმგებელი შეუსრულებელ ამოცანებზე, ბუნებრივია, მინისტრი იქნება. ალექსანდრე ჭიკაძე ირწმუნება, რომ ამ სტრატეგიის პრევენციის წლის ბოლოს უკვე შესრულებული ამოცანების ანგარიში მოჰყვება, რომელიც აუცილებლად წარმატებული იქნება!

თაა მოსია

კითხული კაცის თვალსაზრისი

დარწმუნებული ვარ, რომ დღეს, გოლოს და გოლოს, დავა დრო პასუხისა კითხვაზე, რომელი უნდა იყოს მეცნიერება სახარტიველში, რა მიზნებს უნდა იმსახურებოდეს, თანამედროვეობის რომელი გამოწვევებს უნდა იმსახურებოდეს და რა პრობლემებს უნდა იმსახურებოდეს. ამავდროულად, ვიფიქრებ, რომელი უნდა იყოს მეცნიერების მიზნების განხორციელებისთვის საჭირო სახარტიველში.

სადღესოდ ქართული მეცნიერება უნივერსიტეტებში წარმოდგენილი. დღეს მეცნიერებათა აკადემია აღარ არის ისეთივე ერთადერთი ექსპერტი და კონსულტანტი მეცნიერების საკითხებში, როგორც იყო წარსულში. მიუხედავად იმისა, რომ ახლა მეცნიერებათა აკადემიას აღარ გააჩნია ინსტიტუტები და აღარ ჰყავს მათი თანამშრომლები, ის მაინც ინარჩუნებს საბჭოთა ეპოქისაგან ნამდვივდრევე განყოფილება და სპეციალობათა ნომენკლატურას. არა და კარგა ხანია, დადგა ამ სტრუქტურის გადახედვისა და ახალი სიტუაციისთვის მისადაგების დრო. ეს უნდა გაკეთდეს აკადემიის განყოფილებების გამსხვილების ხარჯზე, რომლებიც კოორდინირებს გაუწვევ უახლესი ათწლეულებისთვის ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შესაბამის კვლევებს 5-6 მეცნიერული მიმართულებით.

ჩვენი აზრით, უნდა დარჩეს, მომავალზე ორიენტირებული, „added value“ (დამატებითი ღირებულება – ინგლ.) მქონე მიმართულებები: წყლის რესურსებისა და წყლის გამოყენების მეცნიერებები, ზუსტი მეცნიერებები, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და რობოტიკა, ბიოტექნოლოგია, ეკოლოგია და მინათსარგებლობა. დასასრულს, ჩვენი ეროვნული ცნობიერებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის, ქართველოლოგიის განყოფილებისა და მასთან დაკავშირებული ყველა დისციპლინის არსებობა.

საერთოდ, საჭიროა პრობლემათა მონოდიციალიზირების დისციპლინათმორის კვლევებზე გადასვლა. ამან, შესაძლოა, ზოგიერთი ინსტიტუტის შემცირება მოითხოვოს, მაგრამ, სამაგიეროდ, მეცნიერებას შეუწარმუნებს ადამიანებს ახალი პოლიდიციალიზირი კოლექტივების შექმნით, რომელთა ძალისხმევა მიმართული იქნება განვითარების კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისაკენ.

ზემოთ აღნიშნული მიმართულებების კვლევების კოორდინირების მიზნით მიზანშეწონილია მეცნიერებათა აკადემიის სივრცეში შესაბამისი დისციპლინათმორის ცენტრების შექმნა. მათი ამოცანა იქნება სხვადასხვა უნივერსიტეტებში მომუშავე სხვადასხვა სპეციალობების მეცნიერთა გაერთიანება ქვეყნისათვის ამა თუ იმ მნიშვნელოვან პრობლემატიკის ირგვლივ. სასურველი იქნება ასეთი სამეცნიერო ცენტრების კვლევებში უცხოეთში მომუშავე ქართველ მეცნიერთა მოზიდვა. ისინი კი, თავის მხრივ, მეცნიერულ ინტერესთა სფეროში ჩართვადენ უცხოელ კოლეგა-მკვლევრებსაც.

მე დავასახელებ მეცნიერებათა აკადემიის რეფორმის ორი კომპონენტი: განყოფილებათა გამსხვილება და რამდენიმე საკვანძო დისციპლინათმორის ცენტრის შექმნა. კიდევ ერთი კომპონენტი უშუალოდ ადამიანური ფაქტორი. დღეს მეცნიერებათა აკადემია, 2013 წლის არჩევნების მიუხედავად, ხანდაზმულ ორგანიზმად რჩება. თუ აკადემიაში უფრო ახალგაზრდა თაობების ხილვა გვსურს, საჭირო იქნება წევრკორესპონდენტების ინსტიტუტის აღდგენა და წევრკორების ასაკობრივი ზღვრის განსაზღვრა 50-მდე წლით.

თუმცა, საქართველოში მეცნიერების გაახალგაზრდაების საკითხი მეცნიერებათა აკადემიაზე უფრო ფართოდ დგას. ვიდრე ადამიანი 40-50 წელს მიაღწევს და აკადემიის წევრობის პრეტენდენტობას შესძლებს, მეცნიერებაში ხომ მინიმუმ 15-20 წლის მუშაობა, კვლევა-ძიებითი საქმიანობა მოუწევს. საქართველოში კი დღეს სწავლულის სტატუსი მორალურად და და მატერიალურად ძალიან დაბალია. მე უკვე ვწერდი იმის შესახებ, რომ კონსტრუქტივ მკვლევართან უნდა გავფორმდეს 2-3 წლით, ხოლო მისი ხელფასი ფიქსირებული და ღირსეული უნდა იყოს, როგორც ეს ხდება ევროპის უმეტეს ქვეყნებში (იხ. გაზეთი „რეზონანსის“ 2013 წლის 20 თებერვლის ნომერი). ახალგაზრდა კაცი არ წავა მეცნიერებაში, თუ სიტუაცია არ შეიცვლება. შეტყაობა ვიწყვი, ახალგაზრდა რიგინა და არც ისწავლის იქამდე, ვიდრე ნიშნისა და დიპლომის მიღება ფულით იქნება შესაძლებელი.

მოკლედ მინდა ვთქვა იმაზედაც, თუ როგორ მესახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მომავალი.

მეცნიერებათა აკადემიებზე მოთხოვნები და დღეს მსოფლიოს ყველა კონტინენტის 50-ზე მეტ ქვეყანაშია აღრიცხული. აკადემიების უმრავლესობის ძირითადი ფუნქციაა მეცნიერების განვითარების განსაზღვრა ეროვნული ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების ინტერესების შესაბამისად. მეცნიერებათა აკადემიები ასრულებენ ექსპერტების როლს ხელისუფლების მიერ სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში. ზოგიერთ ქვეყანაში (ჩინეთი, საფრანგეთი, რუსეთი, უნგრეთი, პოლონეთი) მეცნიერებათა აკადემიების შემადგენლობაში შედიან ცენტრები და ინსტიტუტები. ამ ცენტრებსა და ინსტიტუტებში მომუშავე ინსტრუქტორი და მკვლევარნი, აკადემიის წევრებთან ერთად, ქმნიან იმ კრიტიკულ მასას, ურომლისოდანაც მეცნიერების განვითარება წარმოუდგენელია.

ახალი დროება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისაგან ქვეყნის მეცნიერულ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნას მოითხოვს, იმისათვის, რათა უბრალოდ „რჩეულ მეცნიერთა კლუბად“ არ გადაიქცეს. საქართველოში მეცნიერული კვლევების ერთადერთი კოორდინატორის როლს მეცნიერებათა აკადემია ვერ განახორციელებს იმ სიტუაციაში, როდესაც შექმნილია სხვა აკადემიებიც (როგორც დარგობრივი, ისე უბრალოდ მეცნიერთა დამოუკიდებელი გაერთიანებები) და როდესაც სახელმწიფო მეცნიერებისათვის გამოყოფ



საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მომავალი

ვილ საბიუჯეტო სახსრებს ახორციელებს სამინისტროსა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სახელმწიფო ფონდების მეშვეობით. რამდენიმე სიტყვა მეცნიერებისა და განათლების ბიუჯეტზედაც მინდა ვთქვა: საკმარისია ითქვას, რომ წამყვან მსოფლიო სახელმწიფოებს კარგად ესმით ადამიანური საქმიანობის ამ სფეროთა სამომავლო მნიშვნელობა. მსოფლიო მასშტაბით მეცნიერებისათვის განკუთვნილი ფულიდან 32%-ს გამოყოფს აშშ, 32%-ს – ევროკავშირის ქვეყნები, 14%-ს ჩინეთი, 2,5%-ს რუსეთი. საფრანგეთის ბიუჯეტში 2013 წელს მეცნიერებასა და განათლებაზე გამოყოფილი იყო 90-მდე მილიარდი ევრო, ანუ მთელი ბიუჯეტის 22%. ხოლო საქართველოს წლიური ბიუჯეტის რამდენი პროცენტი ან პროცენტის რა წილია გათვალისწინებული ამ საჭიროებისათვის, ალბათ, მხოლოდ უზენაესისათვის არის ცნობილი. ფინანსირების საკითხი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია საზოგადოების ნებისმიერი ორგანიზების სტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მათთვის, ვისთვისაც ცნობილია საქართველოში უკანასკნელი 20 წლის რეფორმები მეცნიერებაში, გასაგებია, რომ ქართველ მეცნიერთა და მკვლევართათვის, რომელთა რაოდენობა დღეს 3000 არ აღემატება (საბჭოთა ეპოქაში მათი რაოდენობა 45000 აღწევდა), ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ასე მესახება, რომ მეცნიერებათა აკადემია მნიშვნელოვანია როგორც დროებითა მაკავშირებელი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს მეცნიერულ ძიებებთან მიზნებს და ინახავს ამ პროცესის მეგვიდრობითობას, ანუ ინარჩუნებს მეცნიერულ ტრადიციებსა და ეთიკას, შეიმუშავებს მეცნიერული საზოგადოებრიობის საქმიანობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მესღეს.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ აკადემიას შეუძლია ისეთი ახალი როლების შესრულება, როგორცაა:

1. უმაღლესი არბიტრის როლი სამეცნიერო საქმეებში მეცნიერული ეთიკის საბჭოს მეშვეობით;
2. მაკონტროლებელი ორგანოს როლი უმაღლეს სასწავლებლებში საკვალიფიკაციო ნაშრომების (დისერტაციების) დაცვისა და მეცნიერ-მკვლევართა მომზადების პროცესის და უნივერსიტეტებში დიპლომის შემდგომი განათლების (დოქტორანტიურის) ხარისხის უზრუნველყოფაში;
3. მთავრობისა და პარლამენტის კონსულტანტის როლი მეცნიერების განვითარებასა და პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებში. მთავრობისა და პარლამენტის დაკვეთით წარმოებული კვლევების მაინიცირებელი და მაკოორდინირებელი ორგანოს როლი;
4. აკადემიის შესაბამისი ნომენკლატურული კომისიების მეშვეობით უკვე მოპოვებულ ცოდნათა მოცულობის მაინიცირებელი ორგანოს როლი;
5. დიდი საზოგადოებრივი წონის მქონე ქვეყნის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებების აკადემიური თავისუფლების გარანტის როლი.

ამ ახალი ფუნქციების შესრულება, ცხადია, გარკვეულ ხარჯებს გამოიწვევს, მაგრამ არა ისეთს, როგორც ეს იყო უწინ, როდესაც ქვეყანაში მთელი მეცნიერება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა.

მეცნიერებათა აკადემიები სხვა ქვეყნებში წარმოადგენენ მნიშვნელოვანი საკუთრების – შენობების, მეცნიერული დაწარმების, მონაცემების, ფონდების, ბიბლიოთეკების მფლობელებს ან მენეჯერებს და ამიტომ საკუთარი საქმიან

ობის პოლიტიკის განსაზღვრისას მანევრირების შესაძლებლობა აქვთ. საქართველოში აკადემიას ამის შესაძლებლობა აღარ, ან თითქმის აღარ აქვს. სწორედ ამიტომ არც არის ძალიან სასურველი საზღვარგარეთული გამოცდილების ბრმად გადმოღება. თუმცა, აუცილებელია მისი გამოყენება და გადმოღება ისეთი მიმართულებებით, როგორცაა სალექციო მუშაობა მოსახლეობაში, მრავალრიცხოვანი ფონდების ორგანიზება, მეცნიერთა ყოველწლიური შეხვედრით, ახალგაზრდა მეცნიერთა სპეციალური პრემიებით დაჯილდოება.

რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ იმ ფუნქციებზე, რომლებიც შეუძლია თავს იდოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, კერძოდ, იმ უამრავ მსოფლიო ცენტრებთან საქმიანი და სამეცნიერო კავშირების გადრეკება და გაფართოება, სადაც მიმდინარეობს კვლევები ცოდნის მოსაპოვებლად? არსებობს სადღესოდ უცხოეთში მომუშავე ქართველ მეცნიერთა მონაცემთა ბაზის შექმნის სასიცოცხლო აუცილებლობა. ჩვენი რესურსების შეზღუდულობის მიუხედავად, უნდა დავაფინანსოთ საქართველოს განვითარებისთვის უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი მნიშვნელოვანი პროექტები. საამისოდ კი საჭიროა მეცნიერების კავშირების ყოველმხრივი გაფართოება საქართველოს ინდუსტრიის სანარმოებთან და მათი შესაძლებლობების გამოყენება.

მინდა, რამდენიმე სიტყვა ვთქვა საქართველოში განათლების, კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებაც, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს, მათ შორის მომავალ მეცნიერებს – მკვლევრებს. ვამზადებთ კი იმ სპეციალისტებს, რომლებიც საჭირონი არიან დღეს, ან იქნებიან მომავალში?

მაგალითად, სულ უფრო მეტი სპეციალისტი არის საჭირო ნანოტექნოლოგიებში, რობოტების შექმნასა და მოსახურებაში. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურ მუშაკთა მომზადებას, რომლებზედაც მოთხოვნილება დღეს მთელს მსოფლიოში შეინიშნება. ნანომედიკოსი, მზის ენერჯის სპეციალისტი, თავისუფალი დროის ორგანიზების სპეციალისტი – აი, მხოლოდ რამდენიმე ახალი პროფესია, რომელთა მიმართულებებითაც უნდა მოვაზრდოთ ახალგაზრდები.

მნიშვნელოვანი მიმართულებაა სპეციალისტთა მომზადება ქალაქდაგეგმარების, ნარჩენების უტილიზების, ტერიტორიის ეკოლოგიის, ქალაქისა და სოფლის კეთილმოწყობის პროექტების მოსახლეობაში წარდგენა-ლობირების თვალსაზრისით.

საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა და აგროტექნოლოგიების განვითარება მისი მეცნიერებისა და სპეციალისტთა მომზადების მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

მოთხოვნილება, რა თქმა უნდა, გაჩნდება იმ პროფესიებზედაც, რომლებიც ემყარება საზღვრებისმეტყველო მეცნიერებებს – ქიმიას, ბიოლოგიას, ფიზიკას. საჭირონი იქნებიან სურვილი ეკონომიკასთან – ბიზნესის წარმოებისათვის, მართვასთან, სამედიცინო საქმიანობასთან, იურისპრუდენციასთან დაკავშირებული სპეციალისტები. ძალიან პერსპექტიულია ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ადამიანთან – დიზაინერული მუშაობა, ფსიქოლოგია, ჯანდაცვისა და ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების წესის შემსწავლელი მეცნიერებათა კომპლექსი.

სულ უფრო აუცილებელი ხდება ის პროფესიები, რომელთა მიზანიც ევროპულ სამეცნიერო და ფინანსურ სტრუქტურებთან ურთიერთმიმართებაა.

მეცნიერებას ახალგაზრდები ქმნიან. ეს აქსიომაა. ამიტომ გეზი ახალგაზრდობაზე უნდა ავიღოთ. სხვაგვარად საქართველოში არა მხოლოდ მეცნიერებათა აკადემია, საერთოდ მეცნიერებაც გაქრება და მდორედ გადადინდება იმ ქვეყნებში, სადაც მასზე მოთხოვნილება გაჩნდება და საქართველოში იძულებული გახდება უცხოეთში დაიდი ფულით ფასად მოინვიოს ქართველი მეცნიერი (სხვაგვარად იგი არ ჩამოვა) კონსულტაციების ჩასატარებლად, ან მეცნიერული დასკვნის გასაკეთებლად. თუმცა, ეს უკვე ხდება. საიმისო სტიმულები, რომ ახალგაზრდობამ მიაშუროს მეცნიერებას, სტუდენტური მერხიდანაც უნდა შეიქმნას (სახელმწიფო სტიპენდიების, კვლევებში ჩაბმა და ა. შ.). ახალგაზრდა მეცნიერებს უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე უნდა მიეცეთ საკუთარი საქმის – კვლევითი პროექტის, ლაბორატორიის, ცენტრის შექმნის შესაძლებლობა (გამოეყოთ სუბსიდიები და კრედიტები ასეთი სამუშაოსთვის). მოვიტხოვროთ, რომ ასეთ ახალ სტრუქტურებში მუშაობდნენ „მოხუცი“ აკადემიკოსებიც და რომ ეს ცენტრები იყოს მრავალპროფილური, დისციპლინათმორისი (როგორც მთლიანად მოწინავე მეცნიერება), მაშინ იქ ადგილი იმათაც მოეძებნება, ვინც უნივერსიტეტის პროფესორი ინსტიტუტში შემცირების ან ლიკვიდაციის გამო დაკარგავს სამუშაოს. მთავარია, ახალგაზრდებს თავი **საკუთარი საქმის ბატონ-პატრონად** ვაგრძობინოთ. მაშინ გაჩნდება იმის იმედი, რომ სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება.

დასასრულ მინდა, რამდენიმე წინადადებით მივმართო იმ ადამიანებს, რომლებიც განათლებასა და მეცნიერების პრობლემებზე საერთო ეროვნული მასშტაბის გადამწყვეტილებებს იღებენ:

- **საქართველოს მცირე რისკისა და ამაღლი**
- **ქვეყნის განვითარების დიდი და კომპლექსური ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია მეცნიერების ერთიანი გაერთიანებული ცენტრი;**
- **აუცილებელია ღონისძიებების შერევა საზოგადოებრივი უსწრესი მონაწილეობის მეშვეობით;**
- **საჭიროა ქართული ინდუსტრიის სანარმოთა პრობლემების სრულყოფილი გამოყენება მეცნიერებისა და განათლების განვითარებისათვის.**

კორნა ჩოგოვაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნაშვლი, წევრი, იუნესკოს გენერალური დირექტორის მრჩეველი. პარიზი, 2014 წლის 16 თებერვალი

საქართველოს ექიმთა ასოციაცია და საქართველოს დაზღვეულ მედიკოსთა სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, განსაკუთრებული სიფაქიზით მოეპყროს საქართველოს სფეროსთან დაკავშირებული საქითხების გაშუქებას!

რამდენიმე თვეა, პრესის ფურცლებზე (გაზეთ „ასავალ-დასავალში“ და ახლა რატომღაც „ლიტერატურულ საქართველოშიც“) არ წყდება უროლოგის, პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის მიმართ შეურაცხყოფელი წერილების პუბლიკაცია.

ყოველივე ამან, ბუნებრივია, მიიქცია საქართველოს ექიმთა ასოციაციისა და საქართველოს დაზღვეულ მედიკოსთა სააგენტოს ყურადღება, რომლებმაც საქართველოს უროლოგთა ასოციაციასთან ერთად მიზნად დაისახეს საქმის საექსპერტო მოკვლევა და ქვეყნის მართლმართლების დადგენა.

შესწავლით დადგინდა, რომ პუბლიკაციებში მონაწილე ორივე პაციენტი – შოთა კაპანაძე და დავით კუბლაშვილი, როდესაც მათ პირველად მიმართეს პროფესორ გურამ ქარაზანაშვილს, უკვე ყოფილან დაინვალიდებული.

სამედიცინო ეთიკის ნორმების გათვალისწინებით, ჩვენ მკაცრად ვიცავთ კონფიდენციალობას და შეგნებულად ვერიდებით საუბარს როგორც სხენებულ პაციენტთა ავადმყოფობის დეტალებზე, ასევე იმაზე, თუ სად და რა ვითარებაში დაინვალიდნენ ისინი.

განგმარტავთ მხოლოდ იმას, რომ მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით, მათი დაზიანებები მკურნალობისთვის ერთობ რთულია, რადგან თან ახლავთ გართულებათა საკმაოდ დიდი პროცენტი. ეს რომ ასე არ იყოს, ორივე პაციენტი დღეს უკვე განკურნებული იქნებოდა ნებისმიერ სხვა სამკურნალო დანებებულებაში მაინც. სწორედ ამ გართულებათა ზეგავლენით მოხდა, რომ პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის ძალისხმევით მიუხედავად, საბოლოო განკურნების ნაცვლად, მხოლოდ ნაწილობრივი გაუმჯობესება იქნა მიღწეული.

ჩვენ დიდი თანაგრძობით ვეკიდებით ბ-ნ შოთას და ბ-ნ დავითის ჯანმრთელობის პრობლემებით შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ, ამასთან ერთად, გვინდა, განვაცხადოთ, რომ, როგორც დარგობრივმა საექსპერტო შესწავლამ დაადასტურა, პროფესორ გურამ ქარაზანაშვილი მკურნალობა ჩატარებული აქვს სწორად, თანამედროვე საერთაშორისო გაიდლაინების მოთხოვნათა შესაბამისად. მკურნალობის პროცესში წარმოშობილი გართულებები არანაირად არ არის დაკავშირებული მის პროფესიონალიზმთან და საერთოდ არ შეიცავს მის ბრალეულობას.

ჩვენ დიდი თანაგრძობით ვეკიდებით ბ-ნ შოთას და ბ-ნ დავითის ჯანმრთელობის პრობლემებით შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ, ამასთან ერთად, გვინდა, განვაცხადოთ, რომ, როგორც დარგობრივმა საექსპერტო შესწავლამ დაადასტურა, პროფესორ გურამ ქარაზანაშვილს მკურნალობა ჩატარებული აქვს სწორად, თანამედროვე საერთაშორისო გაიდლაინების მოთხოვნათა შესაბამისად. მკურნალობის პროცესში წარმოშობილი გართულებები არანაირად არ არის დაკავშირებული მის პროფესიონალიზმთან და საერთოდ არ შეიცავს მის ბრალეულობას.

რად არ არის დაკავშირებული მის პროფესიონალიზმთან და საერთოდ არ შეიცავს მის ბრალეულობას.

უფრო მეტიც, სხენებული მოსალოდნელი გართულებების შესახებ ორივე პაციენტი თავიდანვე იყო ინფორმირებული და მკურნალობის დანებების წინმათგან მიიღეს სელმონწერილი განცხადებითი ინფორმირებული თანხმობა, სწორედ ისევე, როგორც ეს წარმოებს ხოლმე სავალდებულო წესით ყველა პაციენტისგან.

საქართველოს ექიმთა ასოციაცია და საქართველოს დაზღვეულ მედიკოსთა სააგენტო მოუწოდებს ყველას, განსაკუთრებული სიფაქიზით მოეპყროს საქართველოს სფეროსთან დაკავშირებული საქითხების გაშუქებას!



საქართველოს ექიმთა ასოციაციის განცხადება

პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის წინააღმდეგ ერთი სააქვოდ მიუანემიარტული სახელგამგანი კამპანიის გამო

თან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას! წინდაუხედავი, აგრესიული და სენსაციური ფორმატით წარმოდგენილი მასალა, როგორც წესი, საზოგადოების ცნობიერებაზე მხოლოდ უარყოფით კვალს ტოვებს და სამედიცინო სფეროსადმი ნეგატიურ განწყობას ნერგავს. ენ. „ცხელ გულზე“ მომზადებული სიუჟეტები მხოლოდ ცუდ საქმეს ემსახურება.

განკურნების რწმენა და ნდობა მედიკოსისადმი სამკურნალო არსენალში უძლიერესი იარაღია. პაციენტის დადებითი ფსიქოემოციური შემართების გაზრდა მრავალი დაავადების დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ფსიქოთერაპია ყველა დაავადების კომპლექსური მკურნალობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ხშირ შემთხვევაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საზოგადოების წინაშე „უეცი და დამაშავეთა“ რაკურსით წარმოჩენილი მედიკოსები კომპეტენტური საექსპერტო სამსახურების მიერ საქმის მოკვლევა შეფასების შემდეგ უდანაშაულონი აღმოჩნდებიან ხოლმე. ამ ინფორმაციას კი, როგორც წესი, საზოგადოებას აღარავინ აწვდის.

სამედიცინო სფეროზე მასობრივი ინფორ-

მაციის საშუალებების მიერ ასეთი დაუსაბუთებელი და აგრესიული დამოკიდებულება, ჯერ ერთი, ზემოხსენებულ რწმენას უკარგავს ხალხს, მეორეც, მორალური სტრესის ქვეშ მყოფი მედიკოსის მოღვაწეობის ხარისხზე ძალზედ უარყოფით გავლენას ახდენს, რითაც საზოგადოება ორმაგად ზარალდება.

თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალია, პატივი მივაგოს საზოგადოების რწმენას და ღირსებას და თავგზა არ აუბნოს მას.

სადავო საკითხები უნდა განიხილებოდეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით.

საზოგადოების ინფორმირება კი უნდა წარმოებდეს მხოლოდ კომპეტენტური საექსპერტო სამსახურების პროფესიონალებს ურ დასკვნებზე დაფუძნებით და არა ერთეულ პიროვნებათა სუბიექტური განწყობისა და მოსაზრებების გადმოსახედიდან.

მედიცინა ურთულესი სფეროა. ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ფუნქციური პროცესებში ორჯერ ორი ზოგჯერ ოთხი არ არის. სწორედ ეს არასტანდარტული,

ატეპიური და არაპროგნოზირებადი გართულებული მდგომარეობები ის დილემა, რის გამოც სადიაგნოზო-სამკურნალო ღონისძიებები კონკრეტულ სიტუაციებში ყოველთვის ვერ გვირგვინდებიან პაციენტისა და კლინიცისტისთვის სასურველი დადებით შედეგით. მედიკოსების ძალისხმევით მიუხედავად, ამა თუ იმ ობიექტურ ფაქტორთა ზეგავლენით ნებისმიერი დაავადების მკურნალობის პროცესში, გარკვეული სისხირით, შესაძლოა, გართულებათა განვითარება, რაც, ცხადია, არც ექიმის და არც პაციენტის სურვილი არ არის.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დაავადებისგან განვალებული პაციენტი თუ მისი ახლობელი შექმნილ მდგომარეობაში საერთოდ არ ინტერესდება სინამდვილით და, როგორც წესი, ბრალეულობას მხოლოდ სამედიცინო პერსონალის საქმიანობაში ეძიებს. ობიექტური ქვეყნის მართლმართლების ვევაში ძალიან შორს დგას ხოლმე მათი მოსაზრებისგან.

დასამალი არ არის ის ფაქტიც, რომ ზოგ შემთხვევაში, საჩივარი კარგად გამართული სამედიცინო ტერმინოლოგიითა და მედიკოსისთვის ჩვეული აზროვნების სტილშია დაწერილი. ეს იმის შედეგია, რომ უკმაყოფილო და მომჩივან პაციენტთა ან მათ ახლობელთა ზურგს უკან, წამქეზებლების თუ ენ. „მაცდური კონსულტაციების“ როლში, სწორედ „უღირსი კოლეგები“ გვევლინებიან.

სამედიცინო ეთიკის ნორმებისთვის შეუფერებელი ასეთი არაკოლეგიური და სამარცხვინო ქმედების გამო პაციენტი ვეღარ ერკვევა მისთვის ჩატარებული სადიაგნოზო-სამკურნალო ღონისძიებების მართებულობაში და მათგან თავგზაბუნული, ხშირად ისეთ შემთხვევებშიც ჩივის, როდესაც მას სამედიცინო დახმარება სწორად აქვს აღმოჩენილი.

კონკრეტული შემთხვევა, რომლის შესახებაც ზემოთ ვიმსჯელებთ, ამის თვალსაჩინო მაგალითია.

საქართველოს ექიმთა ასოციაცია და საქართველოს დაზღვეულ მედიკოსთა სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, განსაკუთრებული სიფაქიზით მოეპყროს საქართველოს სფეროსთან დაკავშირებული საქითხების გაშუქებას!

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მოწოდებას ყველა გაგებით მოეკიდება და მთელი ძალისხმევა მიმართული იქნება არა პიროვნების დაუსაბუთებელ შეურაცხყოფასა და უსაფუძვლო ათიოტაჟის შექმნისკენ, არამედ ბ-ნ შოთას და ბ-ნ დავითის ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრის იმ რეალური გზების ძიებისკენ, თუ ვის, სად და რა საშუალებებით შეუძლია მათი განკურნება.

დასამალი არ არის ის ფაქტიც, რომ ზოგ შემთხვევაში, საჩივარი კარგად გამართული სამედიცინო ტერმინოლოგიითა და მედიკოსისთვის ჩვეული აზროვნების სტილშია დაწერილი. ეს იმის შედეგია, რომ უკმაყოფილო და მომჩივან პაციენტთა ან მათ ახლობელთა მურგს უკან, წამქეზებლების თუ ენ. „მაცდური კონსულტაციების“ როლში, სწორედ „უღირსი კოლეგები“ გვევლინებიან. სამედიცინო ეთიკის ნორმებისთვის შეუფერებელი ასეთი არაკოლეგიური და სამარცხვინო ქმედების გამო პაციენტი ვეღარ ერკვევა მისთვის ჩატარებული სადიაგნოზო-სამკურნალო ღონისძიებების მართებულობაში და მათგან თავგზაბუნული, ხშირად ისეთ შემთხვევებშიც ჩივის, როდესაც მას სამედიცინო დახმარება სწორად აქვს აღმოჩენილი. კონკრეტული შემთხვევა, რომლის შესახებაც ზემოთ ვიმსჯელებთ, ამის თვალსაჩინო მაგალითია.

პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის ფოსტიდან

უსაზღვრობა თქვენი სიკეთე!

ბატონო გურამ, მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ განუვლი სიკეთისათვის, რაც ჩემი ოჯახისათვის გააკეთეთ. თქვენმა ოქროს ხელმა შემიწარმოა მე მეუღლე, შვილებს – მამა და შვილიშვილებს – საყვარელი ბაბუ.

უფალს მადლობას ვწირავ, რომ თქვენ არსებობთ ამ ქვეყანაზე, და მინდა, დიდხანს ჯანმრთელად იყოთ და ასე უანგაროდ ემსახუროთ ხალხს. უსაზღვრო თქვენი სიკეთე. გაჭირვების დროს წამლითაც კი დამეხმარეთ.

როცა ჩემი მეუღლე პროსტატის რთულ ოპერაციაზე იყო შესული, მოსაცდელში თქვენ მიერ გადარჩენილი პაციენტების პატრონები გვავიმედებდნენ, თქვენი მეუღლე ისეთი დასტაქრის ხელშია, სანერვიულო არაფერი გაქვთ, ყველაფერს გაუკეთებთ და არაფერს გაუჭირვებსო.

კიდევ ერთხელ მინდა, უფალს ვთხოვო, დიდხანს გაცოცხლოთ, ჯანმრთელად გამყოფოთ, რათა თქვენმა ოქროს ხელმა ბევრი სიკეთის გაკეთება შეძლოს.

ბატონო გურამ, მინდა, უფალს ვთხოვო, აგრეთვე, დიდხანს გიმყოფოს ჯანმრთელად დედა, ასეთი კარგი, გულისხმიერი და კეთილსინდისიერი შვილის კლბოსთვის. მინდა, მადლობა გადავუხადო თქვენი კლინიკის თანამშრომლებს, რომლებიც ხშირად გვირეკვენ და ჩემი მეუღლის ამბავს კითხულობენ, რა მდგომარეობა გაქვთო.

ბატონო გურამ, დიდხანს ჯანმრთელად იცოცხლეთ. უფალს ებარებოდეთ!

ზონა როზაძიძე, თქვენი პაციენტის შამილ კავიაშვილის მეუღლე. მ. თაბიანი, თამარ მეფის გამზირი

სატრანსპორტო დერეფანი

რამდენად დაეფასებოდა ამ ბოლო ხანს ევროპის პოლიტიკურად, ამას გადაჭრით და ერთმნიშვნელოვნად ვერაინ ვერ გვეტყვის, მაგრამ გეოგრაფიულად რომ ზუსტად 70 მეტრით ვართ მიხსლოებული მასთან, აქსიომური ჭეშმარიტებაა.

და ეს სულაც არ არის იმგვარი ხუმრობა, რომელიც, ხალხში გავრცელებული შეფასებით, სანახევროდ მაინც უნდა იყოს მართალი: იგი სრული სიმართლეა: საქართველოს სამხრეთი საზღვრის ერთ-ერთ ბოლო დასახლებულ პუნქტში – კარნახში – უკვე 70 მეტრის სიგრძეზეა გათხრილი გვირაბი, რომლის გაყვლითაც ტვირთიან-მგზავრიანი მატარებელი ევროპას დაუკავშირდება.

ახლა სწორედ ამ გვირაბში ვართ შპს „მარაბდა-კარნახის რკინიგზის“ დირექტორი ოლეგ ბიჭიაშვილი, მისი თანმხლები პირები, თურქი გვირაბამშენებელი, აზერბაიჯანელი კონტრაქტორები და ამ სტრუქტურის ავტორი... მძლავრი „სუმიტიმო“ თავისი „ხორთუმი“ ისე იოლად ანგრევს მიწის კლდოვან ფენებს, გეგონებათ, ორცხობილას ანრაშენებს. ბულდოზერის „ჩაჩჩის“ დახმარებით მუშები უკვე გამოხედილი ფართობს ლითონკონსტრუქციებით ამაგრებენ, რაც მერე ბეტონით ამოივსება და გამაგრდება... ბატონი ოლეგი აშკარად კმაყოფილია სამუშაოთა ტემპით. და ასეთი კარგი განწყობით იწყება ჩვენი საუბარიც.

ბატონო ოლეგ, დღეს კი ხართ კმაყოფილი, მაგრამ რას იტყვით შარშანდელ წელზე და როგორ შეფასებდით მას?

– სიმართლე გითხრათ, მთლიანობაში შარშანდელი წლით კმაყოფილი არა ვარ, რადგან შესრულდა მთელი სამუშაოების მხოლოდ ცხრა პროცენტი. თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ წინა ხუთი წლის განმავლობაში, რაც დაიწყო და მიმდინარეობდა მარაბდა-კარნახის უბნის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, საშუალო წლიური მაჩვენებელი შვიდი პროცენტი იყო.

თუმცა, ცხადია, ჩვენთვის სულაც არ არის დამშვიდების საბაბი ის, რომ წინა წლებში ასე ცუდად იმუშავეს. ამიტომაც სრული მობილიზაცია გეგმავთ იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის დავალებით წლებიანდელი წლის მიწურულისთვის სატესტო მატარებელი უნდა მივიდეს სადგურ კარნახამდე, ანუ გვირაბის დასაწყისამდე.

შეძლებთ ამის გაკეთებას?

– საამიოდ ძალიან დაძაბული გარჯა და დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულება მოგვიწევს.

უფრო კონკრეტულად?

– ახლავე მოგახსენებთ. საამისოდ დაგეგმილია 80 კილომეტრი სიგრძის ახალი ლიანდაგის გაყვანა, უნდა ამოქმედდეს სადგური ჭიჭყავი, ძალიან უნდა გააქტიურდეს სადგურ ახალქალაქის მშენებლობა, სადაც დღემდე სამუშაოთა მხოლოდ ცხრა პროცენტია შესრულებული. უნდა გავიყვანოთ 80 კილომეტრი სიგრძის საკონტაქტო ქსელი ელექტრონევისთვის, საჭიროა 4200 ელექტროსაყრდენის დადგმა, 150 ათასი ცალი რკინაბეტონის განძევის დაგება... მოკლედ წლებიანდელი წლის მიწურულს სატესტო მატარებელი კარნახის გვირაბამდე უნდა მივიდეს.

რაკი სიტყვა გვირაბზე ჩამოვარდა, რას გვეტყვით მასზე?

– გვირაბი 4,5-კილომეტრიანია. აქედან 2,5 კილომეტრამდე საქართველოს ტერიტორიაზეა გასაყვანი. სამუშაოები კარგი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ვიდრე უფრო კონკრეტულად მოგახსენებდეთ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობითაც დიდი მადლობა მოგახსენო საქართველოს შინაგან საქმეთა, ფინანსთა, საგარეო საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების ხელმძღვანელებს იმ დიდი თანადგომისთვის, რაც მათგან ვიგრძენით თურქეთ-საქართველოს საზღვარზე ახალი დროებითი სასაზღვრო-გამტარი პუნქტის ერთობ შემჭიდროებულ ვადებში გახსნისთვის, რამაც 500 კილომეტრით შეამცირა გზა გვირაბის გაყვანისთვის საჭირო სამუშაო მასალებისა და ტექნიკის შემოსატანად. ცხადია, დროც საგრძნობლად დაიზოგა. აქვე მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა საპატრულო და საზღვრის დაცვის პოლიციების, საგადასახლო და საბაჟო სამსახურების ხელმძღვანელებსაც. სწორედ იმათი საქმიანი თანადგომა-მხარდაჭერა დაგვეხმარა ამ გამტარი პუნქტის დაგეგმილთან შედარებით ექვსი თვით ადრე გახსნაში, რაც, თავის მხრივ, ასევე ექვსი თვით დააჩქარებს გვირაბის გახსნას.

რაც შეეხება თქვენს კითხვას გვირაბის გაყვანის სამუშაოთა მიმდინარეობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო სამუშაოებს თურქეთის ტერიტორიაზეც და საქართველოშიც ასრულებს ერთი თურქული კომპანია. მან თურქეთის მხარეს უკვე დაამთავრა სამუშაოები და ჩვენი ტერიტორიაზეც 350 მეტრი სიგრძის გვირაბი აქვს გაყვანილი. ჩვენი მხრიდანაც გააქვთ გვირაბი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ორმხრივი მუშაობისას სამუშაოთა ვადები ორჯერ მცირდება.

და მიხსლოებით მაინც როდისთვისაა დაგეგმილი ამ გვირაბის გაყვანის სამუშაოთა დასრულება?

– მიხსლოებით კი არა, ჩვენი გათვლა-განგარიშებით იგი უნდა დასრულდეს 2015 წლის ივლის-აგვისტოში. და თუ ეს სწორედ ასე მოხდა, მაშინ მომავალი წლის მიწურულისთვის შეგვეძლება ამ უბნის საექსპლუატაციოდ გადაცემა.

წესით ეს ასეც უნდა მოხდეს, რადგან გვირაბში სამუშაოთა ტემპიც კარგია და არც რაიმე შემაფერხებელი გარემოება გვაქვს. ერთადერთი, რაშიც გვინდა დახმარება, ეს არის ფინანსები.

დაფინანსებაში პრობლემები გაქვთ?

– ამას პრობლემას ვერ დავარქმევდი, მაგრამ ვიდრე გეტყვოდეთ, თუ რას გვულისხმობდით იმის თქმისას, დაფინანსებაში გვინდა დახმარება, მსურს ერთ ძალიან სერიოზულ საკითხს – საკადრო პოლიტიკას მივაპყროთ თქვენი ყურადღება.

ამ უბანს – რკინიგზის მარაბდა-კარნახის მონაკვეთს – მისი ამოქმედების, ანუ ორი წლის შემდეგ, უნდა მოემსახუროს 1590 თანამშრომელი. იმისთვის კი, რომ იმ



მოახლოებული პროკა და... შაპი „ლაქაში“ სიქატიქატიში

დროისთვის მოვამზადოთ და გადავამზადოთ ეს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ორი წელია საჭირო. ის კი არა, ვაგვიანებთ კიდევ საკადრო პოლიტიკის საკითხებზე მუშაობის დაწყებას.

კი, მაგრამ, ბატონო ოლეგ, ხომ არსებობდა რკინიგზის ინსტიტუტი. ამის გათვალისწინებით, რატომ დაგვიდგათ ასე მწვავედ საკადრო პრობლემა?

– საქმეც ისაა, რომ არსებობდა და, სამწუხაროდ, აღარ არსებობს. 2004-2005 წლებში მე პირადად ვიყავი ამ ინსტიტუტის დირექტორი. მაშინ იქ 2300 სტუდენტი სწავლობდა, დღეს კი...

ყოველგვარი ზედმეტი ირონიზების გარეშე უნდა ვთქვა, რომ იმისი არარსებობა „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი ხელისუფლების კიდევ ერთი „დამსახურებაა“. მან ის ინსტიტუტი ჯერ კოლეჯად გადააკეთა, მერე კი ისიც დახურა და ჩამოართვა კუთვნილი შენობა პრივატიზების მიზნით. არადა, რაკი ეს ნაგებობა არქიტექტურული ძეგლი იყო, მისი გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ...

ახლა ეს კოლეჯი გადაცემული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტს, მაგრამ იქ დღეს სწავლობს 250 სტუდენტი. და ეს მაშინ, როდესაც მარტო საქართველოს რკინიგზას ყოველწლიურად სჭირდება სხვადასხვა სახეობის 700-800 ახალი სპეციალისტი, თანამშრომელი.

ამიტომაც დღეს მთელი სიმწვავეთ დგას ამ კოლეჯის აღდგენის და მისთვის თავისი ძველი შენობის დაბრუნების საკითხი, რომელი შენობაც დავით აღმაშენებლის გამზირზე სპეციალურად რკინიგზელთა კადრების მოსამზადებლად აშენდა და 1933 წლიდან ემსახურებოდა კიდევ ამ ძალიან საჭირო საქმეს თავისი კაბინეტ-ლაბორატორიებით, საერთო საცხოვრებელით, აუცილებელი ინფრასტრუქტურით. იგი დღემდე გამოუყენებელია. რკინიგზას კი ჰაერით სჭირდება კადრები.

ეს საკითხი დავსვით განათლების სამინისტროში. შეიქმნა კომისია, რომელმაც ვითარებაში გარკვევის შემდეგ დაასკვნა, რომ აუცილებელია ამ კოლეჯის გახსნა. ყოველმხრივი მხარდაჭერა აღგვიტევა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ბატონმა გიორგი

კვირიკაშვილმაც და იმედია, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

ახლა, რაც შეეხება დაფინანსებას. როგორც გითხარით, ეს ჩენთვის პრობლემა კი არ არის, არამედ გვეჭირდება დახმარება იმაში, რომ დაფინანსება იყოს თანმიმდევრული, რათა შეუფერხებლად შევიძინოთ საჭირო მასალები, შპალი იქნება ეს, ღორღი თუ სხვა.

და ამ მხრივ შეფერხებებია?

– კი არის პატარა შეფერხებები, რაც, ჩემი აზრით, აუცილებლად აღმოიფხვრება ამ დღეებში, უფრო ზუსტად, 24 თებერვალს, როდესაც ბაქოში გაიმართება საკოორდინაციო საბჭოს სხდომა და იქ დაგვიმტკიცდება წლებიანდელი ბიუჯეტი. მანამდე კი ნებართვა გვექონდა, გვემუშავა შარშანდელი მოთხოვნების შესაბამისად.

შარშანდელი წლით კმაყოფილი არა ხართ. წლებიანდელი წელი როგორ დაინწყით?

– დასაწყისი ნამდვილად არ არის ცუდი. იმდენ სამუშაოს, რაც შარშანდელი წლის პირველ ხუთ თვეში შესრულდა, მარტო წლებიანდელ იანვარში გავართვით თავი – 10 მილიონი ავითვისეთ. და ეს იმის მიუხედავად, რომ იანვარში რთული კლიმატური პირობებია სამუშაოდ, იყო საახალწლო დღესასწაულები და ორ-სამ კვირიანი მოცდენები...

ეს, ალბათ, ძირითადად გვირაბის გაყვანის სამუშაოთა ხარჯზე გაკეთდა.

– არა, გვირაბის გაყვანის სამუშაოების ღირებულება ამ 10 მილიონში არ შედის, ის სამი მილიონი, რაც გვირაბის გაყვანის სამუშაოებს მოხმარდა, მოხვდება მხოლოდ თებერვლისთვის შესრულებულში. თებერვალში სადღაც 5 მილიონს ავითვისებთ, ხოლო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ყოველთვიურად უნდა შევასრულოთ 10-15 მილიონის სამუშაოები, რათა ავითვისოთ წლებიანდელი ბიუჯეტი – 164 მილიონი, რაც მხოლოდ კაპიტალური მშენებლობისთვისაა გამოყოფილი.

თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელშიც შედის მარაბდა-კარნახის მონაკვეთი, საუკუნის პროექტადაა მიჩნეული. იქნებ ჩვენს მკითხველს კიდევ ერთხელ ვუთხრათ, რატომ და რით არის იგი ასე გამორჩეული და საყურადღებო?

– ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ამ სატრანსპორტო დერეფანზე ძალიან დიდი მოთხოვნაა. ალენიშნავ მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან მომენტს. თუ აქამდე ტვირთი რკინიგზით მოდიოდა, ვთქვამთ, ფოთის პორტამდე, იქ იგი გადმოიტვირთებოდა ვაგონიდან და ჩაიტვირთებოდა გემში, საიდანაც მერე კვლავ ვაგონში უნდა გადაეტანათ, ახლა, ამ ახალი სატრანსპორტო დერეფანის წყალობით, ტვირთი ჩინეთიდან ევროპამდე გადაუტვირთავად, ამას ხაზგასმით ალენიშნავ, გადაუტვირთავად ჩავა, რაც დროსაც საგრძნობლად ზოგავს და ხარჯსაც ამცირებს.

და კიდევ, ჩვენ აქამდე არ გვექონდა ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფანი. მხოლოდ უკრაინის სანაოსნოს გადაჰქონდა ტვირთი გემებით რუსეთიდან თურქეთამდე. ახლა კი ჩვენ შეგვეძლება რუსეთიდან ტვირთი ტრანზიტად გადავიტვირთოთ თურქეთში. ამ დერეფნით დაინტერესებული არიან შუა აზიის ქვეყნებიც, ჩინეთიც...

ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ ხომ არ წაართმევს თბილისი-ყარსის რკინიგზა ტვირთის საქართველოს რკინიგზას?

– ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, ტვირთების ერთი ნაწილი ამ მოკლე გზით შეიძლება წავიდეს, მაგრამ როგორც ამ საქმის სპეციალისტს, არა მგონია, რომ ამით საქართველოს რკინიგზამ საგრძნობი ტვირთები დაკარგოს. მით უფრო, რომ ამ უკანასკნელმა ბოლო ხანებში შესამჩნევად გარდაქმნა და გაააქტიურა მუშაობა, იდება ახალი ხელშეკრულებები, ახალი ინტერესები ჩნდება და დარწმუნებული ვარ, რომ წლებიანდელი წელი მისთვის შარშანდელზე საგრძნობლად უკეთესი იქნება, 2015 კი წლებიანდელს ბევრად აჯობებს. ამას ასეთი გულდასაძრავი რეზიტი საქართველოს რკინიგზის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის საქმიანობის, სტილისა და მეთოდების გათვალისწინებით ვამბობ. ამ რკინიგზის ხელმძღვანელი ბატონი მამუკა ბახტაძე თავის საქმეს ხომ დიდებულად უძღვება და, ჩვენც ძალიან გვცხამარება, როდესაც, საჭიროებისას, ჩვენი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, წინასწარი, გადახდის გარეშე გადმოაქვს ხოლმე პოლიგონზე ჩვენთვის საჭირო მასალები.

ახლა ბიუჯეტიც დაგვიმტკიცდება, და, როგორც ვთქვი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ წინა წლების ჩამორჩენის დასაძლევად.

წინა წლების ჩამორჩენა კი არა, სააკაშვილი შარშან ამტკიცებდა, ჩვენი ხელისუფლების დროს აქ ყველაფერი დულდა და გადმოდულდა, ლამის სადღეღამისო მუშაობის რეჟიმს გვექონდა და საქმეც სულ წინ მიიწეოდა.

– ისეც მაგათ რა ვუთხარო. რა გააკეთეს მშენებლობის დაწყებიდან ხუთი წლის განმავლობაში? შეასრულეს სამუშაოთა მხოლოდ 28 პროცენტი. სადღესოდ ეს მაჩვენებელი 40 პროცენტია. საერთოდ კი ყოველ ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ მარაბდა-კარნახის რკინიგზა 2015 წლის მიწურულისთვის გადაეცეს საექსპლუატაციოდ...

გმირბაბიძენ გამოსულეებს ჩახჩახა მზე მოგვაცილებდა. სულაც არ იყო ლურჯი მწვერვალები ანა კალანდაძისეულ რძისფერ ნისლში გახვეული, მაგრამ თოვლი კი კარგად იდო არა მარტო „ჯავახეთის მთათა ზედა“, არამედ ველ-მინდვრებიც თეთრად ქათათებდა.

და ამ სიტუატიათში ერთგვარი „დისონანსი“ შექმნდა შავ „ლაქებს“ – აქა-იქ მოხუნულ ნიდაგას. არადა, საცოდაობა არ არის, დაუმუშავებელი რჩებოდეს ასეთი ნოყიერი ნიდაგა, რომელზეც მიწეული კარტოფილით თავის დროზე მარტო ჩვენი ბაზარი კი არა, მოსკოვისა და ლენინგრადის მოსახლეობაც მარაგდებოდა!

ახლა კი ჩვენ თვითონ შემოტანილ კარტოფილს ვვიდულობთ, თანაც რა ფასად!

რუსლან რუსია.
თბილისი-კარნახი-თბილისი



ყოველკვირული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანაწერი №218

მოდრე ეს წიგნი დაიბეჭდებოდა, ბატონმა ალექსი გვრასიმოვი და მე საგაზეთო სტატიის გამოქვეყნებთ შანსი აპრობირების მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ. მაშინ ერთი პატარა ბროშურის, ხელნაწერისა და საბეჭდო პუბლიკაციაში ვწახდით იმის გამო, რომ ეს უნიკალური მასალა შეიძლება დაკარგულიყო და მოუწოდებდით საზოგადოებას მისი ცალკე წიგნად დასტამების აუცილებლობისთვის. ჭეშმარიტად გავგვიმართლა და ამ საინტერესო ნაშრომს დაკარგვა აღარ უწერია – იგი წიგნად არის გამოცემული და მომავალ თაობებს საშუალება ექნება განსაკუთრებით უჩვეულო, მეოცნებე ქართული კაცის მისტიკურ ხარისხში აყვანილი ფიქრების მნიშვნელობა.

ვინაიდან წარმოდგენილი წიგნის სათაურშივე ნახსენებია სიტყვა კრიტიკა მინდა დასაწყისშივე განვმარტო, რომ კრიტიკა მერძნული სიტყვაა და უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონის თანახმად, ნიშნავს: სრულიად ზოგადად რაიმის განხილვას, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში ლიტერატურული, მუსიკალური, თეატრალური და გენგავთ, მეცნიერული მოსაზრებების განხილვას, შემოწმებას და აღდგენას. ბატონი ტარასი აპრობირებდა უაღრესად განათლებული კაცი გახლდათ, პეტერბურგის საბუნებისმეტყველო სკოლის წარმომადგენელი და მიმდევარი. ვინც ეს წიგნი წაიკითხა, დამიდასტურებს, რომ იგი ფლობდა მე-19 საუკუნისათვის დამახასიათებელ ელიტარული რუსული ენის ნიუანსებსაც და, რასაკვირველია, სიტყვა კრიტიკასაც ხმარობდა მისი კლასიკური მნიშვნელობით და, არა იმე, როგორც დღევანდელ უსაზღვროდ პოლარიზებულ საზოგადოებაში მიღებული და, სამწუხაროდ, ლანდვა-გინებასთან ასოცირდება.

მეორე განმარტება ასევე წიგნის სათაურს ეხება, კერძოდ, კეპლერის ელიფსის აგების შესაძლებლობას უკავშირდება. საკითხი მეტად სპეციფიურია, ვიტყვით პიკანტურიც და ვფიქრობ საზოგადოება არ მიწყენს თუ რამდენიმე წიადსვლას გაეკეთებ პრობლემის სიდიდისა და მნიშვნელობის დასადასტურებლად. საქმე იმაშია, რომ ტარასი აპრობირების ნაფიქრალი უნდა განვიხილოთ, როგორც კონკრეტულად დღევანდლობის თვალსაზრისით, არამედ იმ ისტორიული პროცესის გათვალისწინებით, რომელიც გაიარა მეცნიერებამ ციური მექანიკის შესახებ ან უფრო ზოგადად კოსმოლოგიაში.

პირველად გვრძენდა ფილოსოფოსმა არისტოტელემ (IV საუკუნე ქრისტესობამდე) შეიტანა ეჭვი დედამიწის ბრტყელ მოდელში და გამოთქვა მოსაზრება მისი სფერულობის შესახებ. პტოლემემ (II საუკუნე ჩვ. წ.) ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით შექმნა სამყაროს პირველი კოსმოლოგიური მოდელი, რომლის ცენტრში დედამიწა იყო მოთავსებული, ხოლო მის ირგვლივ ვარსკვლავებით მოჭედული, უძრავი ცის ტარტარზე ბრუნავდნენ მზე, მთვარე და მათი უკვე ცნობილი ოთხი პლანეტა.

სამყაროს ამგვარი გეოცენტრული სურათი დიდხანს იყო შენარჩუნებული, ვიდრე XVI საუკუნეში პოლონელმა კოპერნიკმა არ წამოაყენა ჰიპოთეზა სამყაროს პელიოცენტრული აგებულების შესახებ. თითქმის ასი წლის შემდეგ გერმანელმა იოჰან კეპლერმა და იტალიელმა გალილეო გალილეიმ დამოუკიდებლად დადასტურეს კოპერნიკის ჰიპოთეზის მართებუ-

„კეპლერ-აპრობირების კანონი“

სიტყვა წარმოთქმული ტარასი აპრობირების წიგნის „Критика законов Ньютона и построение Каплера эллирса“ პრეზენტაციაზე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში (20.11.2013) (იამჭლეა შამოკლეში).

ლობა, ანუ ის ფაქტი, რომ პლანეტები მართლაც მზის ირგვლივ ბრუნავენ.

იდეები, რომლებიც შორს უსწრებენ თანამედროვეობას ხშირად გაუგებარი და მიუღებელი ხდება საზოგადოებისათვის, რომელიც ბუნებით კონსერვატიულია. აქ შეიძლება გავიხსენოთ ჯორდანო ბრუნოს მაგალითიც. არანაკლებ შევიწროვება განიცდიდნენ კეპლერი და განსაკუთრებით გალილეი. 1616 წელს ეკლესიამ კოპერნიკის მოძღვრება ერეტიკულად ცნო, ხოლო გალილეი, როგორც კოპერნიკის მიმდევარი და პელიოსისტემის მქადაგებელი სიცოცხლის მოლო წლებში ინკვიზიციის პატიმრად გამოაცხადა, დაზრმავეული მოხუცი დააჩოქა და ათქმევინა „მოსანანიებელი“ სიტყვები: „ამიერიდან მე მოვისმენ ჩემი ეკლესიის ყურებით, ვიმზერ მისი თვალებით და ვიტყვი მხოლოდ იმას, რასაც ჩემი წმინდა ეკლესია მიკარნახებს, რამეთუ ყველაფერი ჩემი ნაფიქრალი და ნათქვამი შემლილი კაცის მოღვადა“.

მზის სისტემის კოპერნიკისეული მოდელი დადასტურდა. დღეს ჩვენ ზუსტად ვიცით როგორ ორბიტებზე მოძრაობენ პლანეტები, როგორი პერიოდით უვლიან ისინი მზეს. რა განაპირობებს დედამიწისა და მზის მწყობრ, მდგრად მოძრაობას. კოპერნიკის სიტყვებით – მსოფლიო შრეობისა. პირველი საკითხი უფრო მათემატიკურ, გენგავთ ასტრონომიულ სფეროს განეკუთვნება. იგი გულისხმობს ცდისეული ცონდით მიღებული გამოცდილების განზოგადებას, მათემატიკური აპრობირებული წარმოდგენების საფუძველზე სა-

თანადო თეორიის შექმნას. მეორე საკითხი ფიზიკური ხასიათისაა და ეხება სხეულების ურთიერთქმედების, გრავიტაციის, ანუ მიზიდულობის ძალებით გამოწვეულ მოვლენების შესწავლას.

საკითხის ასტრონომიული თვალსაზრისით გადაწყვეტაში დიდი წვლილი შეიტანეს – დანიელმა ტიხო ბრაგემ (1546-1601) და გერმანელმა იოჰან კეპლერმა (1571-1630).

ტიხო ბრაგემ შექმნა იმ დროისთვის წარმოდგენილად ზუსტი ასტრონომიული ცხრილები პლანეტის მოძრაობის შესახებ, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით ერგო ბრაგეს საყვარელ მოწაფესა და მიმდევარს იოჰან კეპლერს. კეპლერმა ბრაგეს ცხრილებისა და ხანგრძლივი პირადი დავკრევებების შედეგად აღმოაჩინა სამი ფუნდამენტური კანონი პლანეტების მოძრაობის შესახებ და ამით საფუძველი ჩაუყარა ციურ მექანიკას. კეპლერის აღმოჩენას

პერიოდის კვადრატები პროპორციულია მათი მზიდან საშუალო დაცილების კუბებისა. ანუ ფარდობა T²/R³ ყველა პლანეტისთვის ერთნაირია.

ეს კანონები საოცარი სიზუსტით შესრულდა მაშინ, ცნობილი ექვსი პლანეტისათვის (მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი) და მოგვიანებით აღმოჩენილი სამი პლანეტისთვისაც (პლუტონი, ნეპტუნი, ურანი) კეპლერის კანონები ზუსტად აღწერენ იუპიტერის ირგვლივ მისი ოთხი თანამგზავრის: იოს, ევროპას, განიმოდის და კალისტოს მოძრაობასაც. კეპლერმა ცდისეული მონაცემების საფუძველზე შეძლო მათემატიკურ ტერმინებში აღწერა ციური სხეულების მოძრაობის კანონები, პასუხი გასცა კითხვას – როგორ მოძრაობენ პლანეტები მზის ირგვლივ, მაგრამ ვერ ახსნა რატომ მოძრაობენ ისინი, რა განაპირობებს მათ ასეთ მწყობრ მოძრაობას. კეპლერი თვლიდა, რომ

აქედან გამომდინარე დღეს არსებული თეორიები ეყრდნობა პოსტულატს გრავიტაციის არსებობის შესახებ და მასზე აშენებს მიწერი მექანიკისა და ციური მექანიკის კანონებს.

არსებული მოსაზრებებისაგან განსხვავებით, აპრობირებ თვლიდა, რომ ყოველგვარი მოძრაობა, რაგინდ რთულიც არ უნდა იყოს იგი, შეიძლება დაყვანილ იქნას რხევით მოძრაობამდე. ამ თეზისის გამოყენებით მან შეძლო თეორიულად, გონების ჭვრეტით, ყოველგვარი ექსპერიმენტის გამოყენების გარეშე, კეპლერის კანონების მიღება. ამისათვის მან ისარგებლა თანამედროვე დიფერენციალური განტოლებების მათემატიკური აპრობირებით. საკითხი მეტად რთულია და მათემატიკოსების დიდ ძალისხმევას მოითხოვს. იმედო მაქვს რომ მომავალში კაცობრიობა სამართლიანად მოისვენებს მოცემულ მოვლენებს კეპლერ-აპრობირების კანონად.

დღესაც აღტაცებაში მოჰყავს კაცობრიობა მათი ლაკონიურობითა და გონებამახვილობით.

კანონი – ყველა პლანეტა მოძრაობს ელიფსზე, რომელიც ერთ-ერთ ფოკუსში მიდებარეობს. მზე (ელიფსტი ოვალისმზერი შეკრული

ეს გამოწვეულია სხეულების სიმძიმით და მაგნიტური ძალებით.

მე-17 საუკუნის მიწურულში ინგლისელმა ნიუტონმა შექმნა თეორია, რომელმაც აღწერა მატერიალური სხეულების დროსა და სივრცეში გადაადგილება, გალილეის მიერ აღმოჩენილი სხეულების დედამიწის ველში ვარდნის კანონზომიერება, გატყრო ცნობილი სხეულის, მაგალითად ჭურვის ტრაექტორია, სხეულებს ურთიერთმიზიდულობის უნივერსალური მუდმივას არსებობაც, რომელიც მხოლოდ საუკუნის შემდეგ, პენრი კევენდიშის ცნობილმა ცდამ დადასტურდა. ნიუტონის მიზიდულობის თეორიის თანახმად სხეულები ურთიერთმიზიდებიან ძალით, რომელიც პროპორციულია სხეულების მასების ნამრავლისა და უკუპროპორციულია მათ შორის მანძილის კვადრატისა. ნიუტონის კანონების თანახმად მთელ სამყაროში ყველა სხეული მით უფრო ძლიერად იზიდავს სხვა სხეულს, რაც უფრო მეტია ამ სხეულების მასა და ნაკლებია მანძილი მათ შორის. ნიუტონის თეორიამ გრავიტაციული ძალებით აღწერა მზის ირგვლივ პლანეტების ელიფსურ ორბიტებზე მოძრაობა. თუმცა, ნიუტონმა არ იცოდა, რატომ ვრცელდება ძალა. აღიარებდა, რომ მიზიდულობის ბუნება მისთვის უცნობია, მან ვერ დაადგინა მიზიდულობის საწყისი მიზეზი. სამწუხაროდ, არც დღეს არის ამ კითხვაზე გაცემული პასუხი, ანუ ჩვენ არ ვიცით რატომ იზიდავენ სხეულები ერთმანეთს.



ტარასი აპრობირებ მიუღწეობა ერთად

წინაა, მიიღება წარწერის დეფორმაციით და მისგან განსხვავებით ორი ფოკუსი გააჩნია. ელიფსის ნებისმიერი წერტილიდან ფოკუსებამდე მანძილის ჯამი მუდმივი სიდიდეა). II კანონი – მზისა და პლანეტის შემაერთებული ხაზი დროის თანაბარ მონაკვეთებში აღწერს თანაბარ ფართობებს. III კანონი – პლანეტების ბრუნვის

აინშტაინი ამბობს, რომ როგორც წესი, ადამიანებს მეცნიერების ისეთი დარგები აინტერესებთ, რომელნიც მათთვის პრაგმატული თვალსაზრისით მეტი სარგებლისა და კომფორტის მოტანია. ეს მართლაც განსაკუთრებით თვალში საცემია გამოყენებითი ქიმიის, ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მიღწეული წარმატებების საყოფაცხოვრებო პირობებში დანერგვის დროს. ჩვეულებრივი ომი-კატელი არც ისე შორსმჭვრეტელია, რომ წარმოიდგინოს ტარასი აპრობირების დებულებების სიდიადე, რომელიც მისთვის სრულიად უსარგებლო, აპრობირებულ კოსმოლოგიურ პრობლემებს ეხება. კოპერნიკამდე ყველას მიზნდა რომ ჩვენი დედამიწა იმყოფება სამყაროს ცენტრში და ამით არაფერი არ დამავებულა – ადამიანი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. შემდეგ გაჩნდა ახალი პელიოცენტრული წარმოდგენები სამყაროს შესახებ. ვერც ამან შეცვალა რამე ადამიანის ცხოვრებაში. ამჟამადაც ასეთ ფენომენთა გვაქვს საქმე, დედამიწა ისევ ისე ბრუნავს თავის ღერძის გარშემო, ისევ ისე ვტრიალებთ მზის ირგვლივ და ვგრძობთ მოძრაობას უსასრულო სამყაროში. აპრობირების თეორიის მიზიდულობის თეორიის თანახმად სხეულები ურთიერთმიზიდებიან ძალით, რომელიც პროპორციულია სხეულების მასების ნამრავლისა და უკუპროპორციულია მათ შორის მანძილის კვადრატისა. ნიუტონის კანონების თანახმად მთელ სამყაროში ყველა სხეული მით უფრო ძლიერად იზიდავს სხვა სხეულს, რაც უფრო მეტია ამ სხეულების მასა და ნაკლებია მანძილი მათ შორის. ნიუტონის თეორიამ გრავიტაციული ძალებით აღწერა მზის ირგვლივ პლანეტების ელიფსურ ორბიტებზე მოძრაობა. თუმცა, ნიუტონმა არ იცოდა, რატომ ვრცელდება ძალა. აღიარებდა, რომ მიზიდულობის ბუნება მისთვის უცნობია, მან ვერ დაადგინა მიზიდულობის საწყისი მიზეზი. სამწუხაროდ, არც დღეს არის ამ კითხვაზე გაცემული პასუხი, ანუ ჩვენ არ ვიცით რატომ იზიდავენ სხეულები ერთმანეთს.

რას წერენ, რას აზრობენ ჩვენზე

დღემანდელი პოსტსაბჭოთა პოლიტიკის მთავარი გამოწვევა — ეს არის უკრაინის სახელმწიფოს საზღვრების სტაბილურობა, სუვერენიტეტი და ხელ შეუხებლობა. აღმოსავლეთ ევროპაში რომ მშვიდობა უზრუნველყოს, დასავლეთმა თავისი ძირითადი ფუნქციები, ალბათ, უფრო მეტად უნდა გაამხვილოს მოსკოვზე, ვიდრე კვიევზე.

გასული კვირების განმავლობაში დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აჩრებულნი იყვნენ დრამატული ცნობებითა და ფოტოებით კვიევიდან. ყურნალისტები, პოლიტიკოსები და სხვა მეთვალყურეები სულ უფრო ხშირად ავლებენ პარალელს, ზოგჯერ აღფრთოვანებულს, ზოგჯერ საგანგაშოს უკრაინის დედაქალაქის დღევანდელ სახესა და ევკოტეში, ლიბიასა და სირიაში უფრო ადრინდელ ცნობილ მოვლენებს შორის.

უკრაინა არც სირიაა და არც ლიბია

მზარბე კვიევის ქუჩებში უკანასკნელი დაპირისპირების ხშირი შედეგები ამასწინანდელ შეიარაღებულ შეტაკებებთან ისლამისტურ ქვეყნებში დაბნეულობას იწვევს. უკრაინა — ევროპული ერია ევროკავშირთან და მის სახელმწიფოებთან მჭიდრო და მრავალმხრივი კავშირით ერთობიანობაში. ახალგაზრდა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოს უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გაუჩნდა პოლიტიკურ უთანხმოებათა და მშვიდობიან სამოქალაქო დაპირისპირებათა უძალადო გადწყვეტის ტრადიცია. მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის მოუხერხებელმა პოლიტიკამ მიგვიყვანა უკრაინაში პოლიტიკური კონფლიქტების მონეტარიზების წინა ზომიერი მოდელის დარღვევასთან. მაინც, კვიევი დღევანდელი ბუნტის მკვეთრი გამკაცრების ალბათობა, მით უმეტეს სამოქალაქო ომისა უკრაინაში ათასობით დაღუპულით, დაბალი რჩება. არანაკლებ უადგილო ასევე დასავლეთში პოპულარული სცენარი, რომლის მიხედვითაც უკრაინა ხდება მეზობელ ბელარუსში ლუკაშენკოს დიქტატორული რეჟიმის მსგავსი. უკრაინელი პოლიტიკოსები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სამოქალაქო საზოგადოება — მეტად ნაირფეროვანია და ავტონომიური სრულმასშტაბიანი ავტორიტარული მმართველობის დამყარებისთვის. უკრაინის საერთაშორისო ურთიერთობათა და ქვეყნის მომავალი განვითარების ორიენტაცია ევროპაზე პოლიტიკოსების, ინტელექტუალებისა და უმეტესწილად უმრავლესობისთვის უდავოა. უკრაინის ელიტის სხვადასხვა წარმომადგენლებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და როგორ უნდა მოახერხოს უკრაინამ შეუერთდეს ევროკავშირს, მაგრამ მათ მაინც აერთიანებს ევროკავშირში მომავალი წევრობის მიზანი. ამას გარდა, კურსი ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობათა დამყარებაზე პოპულარულია უკრაინის მოსახლეობის დიდ ნაწილში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

ამრიგად, თანამედროვე უკრაინული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები არა მხოლოდ ობიექტურად განსხვავდებიან ბელარუსული ან რუსული პოლიტიკისგან. უკრაინის სამოქალაქო აქტივისტების, პოლიტიკური ექსპერტების, გავლენიანი ყურნალისტებისა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა უმრავლესობა — იანუკოვიჩი და მისი მრჩეველები, შეიძლება, გამოინაკლინა — სუბიექტურად განმარტავს, რომ უკრაინის პოლიტიკური ცხოვრების საშინაო ცენტრალიზაციის ან საერთაშორისო იზოლაციის ყოველგვარი მცდელობა — უაზრობაა.

უკრაინის განხილვებულა

მიუხედავად ამისა, ბრიუსელსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ჯერჯერობით არ აქვთ საბაზო მოდერნენ უკრაინაში ამასწინანდელ მოვლენებთან და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების მომავალთან დაკავშირებით. უკრაინის პოლიტიკური აქტივების ქუსლი — ეს არის მისი ცნობილი რეგიონალურ-კულტურული დაყოფა, აგრეთვე სამხრეთით და აღმოსავლეთით უკრაინის მჭიდრო ურთიერთობანი რუსეთთან. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის ბევრი მოქალაქე თავს მიიჩნევს პასუხისმგებლად უკრაინის ეთნიკურად რუსი მოქალაქეების დაახლოებით მ მილიონთან დაკავშირებით, აგრეთვე რუსულად მოლაპარაკე რამდენიმე მილიონი უკრაინელის ბედისთვის.

პრორუსულად განწყობილი უკრაინელები ცხოვრობენ, ძირითადად, იმ რეგიონებში, რომლებიც განთავსებული არიან უკრაინისა და რუსეთის გრძელი საზღვრის გასწვრივ, აგრეთვე შავ ზღვასთან. ბევრი უკრაინელი იმყოფება კრემლის მიერ კონტროლირებადი ბევრი მასობრივი ინფორმაციის საშუალების, უწინააღრეს ყოვლისა, რუსეთის სამი მთავარი ტელეარხის: „პირველი“, „როსია“ და „ნტე“ გავლენის ქვეშ (სხვათა შორის, რუსეთელების უმრავლესობისთვის უკრაინული რუსულენოვანი ტელეარხები მიუწვდომელია). მოსკოვის ეფექტიანი სატელევიზიო პროპაგანდისტული მანქანა კვიევიში მიმდინარე საპროტესტო აქციებს წარმოაჩენს, როგორც უმართავი ბრბოს პუტინის მცდელობას, რომელსაც წარმართავენ რუსოფობური ფაშისტები, უცხოელი აგენტები და ამორალური ლიბერალები.

2008 წლის ქართული სენარი, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი და ევროკავშირის სამშვიდობო როლი



სეპარატიზმისა და ინტეგრაციის ნიშნები

მიუხედავად, რომელიც ყველაზე უფრო ზუსტად წარმოაჩენდა უკრაინის სახელმწიფოს შესაძლო მომავლის ყველაზე უარეს სცენარს, — არც ბელარუსულია და არც სირიული. უფრო სწორად, უკრაინას შეიძლება ელოდებოდეს პოსტსაბჭოთა საქართველოს ბედი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ვაფასებთ დღეს უკრაინაში მიმდინარე სიტუაციას, მხედველობაში უნდა მივიღოთ მოსკოვის შეიარაღებული კონფრონტაცია თბილისთან 2008 წელს. რუსული უცხოური ინტერვენციის მომზადების სქემა მარტივია: უკვე არსებული საშინაო კონფლიქტი, კრემლის ფარული და არც დიდად ფარული შუამდგომლობით, მკვეთრად მწვავდება. ძალის გამოყენებას კონფლიქტის გადაჭრაში მიეყვართ თხოვნამდე რუსეთისადმი დახმარების შესახებ, რასაც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოაჩენენ, როგორც შეიარაღებულ შეტაკებას ადგილობრივ ულტრანაციონალისტებთან. ეთნიკური რუსები ახ ისინი, ვისაც აქვთ რუსული პასპორტები, არიან წარმოადგენილი, როგორც პოტენციური ან რეალური მსხვერპლი, სავარაუდოდ, წმინდა საშინაო კონფლიქტის მსხვერპლი. მათ თითქოს ემუქრება ეთნიკური წმენდა.

განხილული ყვირილის პასუხად პოტენციური მსხვერპლისთვის დახმარების მიზნით მოსკოვი იწყებს ჰუმანიტარულ ჩარევას, რაც ემყარება სამ მტკიცებულებას. ჯერ ერთი, რუსეთს აქვს უფლება, უზრუნველყოს თავისი საზღვრების სტაბილურობა და უსაფრთხოება თავდაცვისთვის. მეორეც, კრემლი ვალდებულია, გადაარჩინოს დათრგუნვისგან, დევნიდან, განდევნიდან ან მასობრივი მკვლელობისგან ის მოქალაქეები, რომლებიც სისხლბორცულად არიან დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან (ეთნიკური რუსები), ან კანონიერად (რუსეთის პასპორტების მფლობელები). მესამეც, რუსეთის არმიას არ შეუძლია, არ ითამაშოს ევროპიული მშვიდობისმყოფელის როლი მოსტაბაჭოთა სივრცეში. მოსკოვი მოლოდულია, ადადგინოს წესრიგი ყოფილი დი-

დი იმპერიის ქოტურ ნამსხვრევებში და გონებაზე მოიყვანოს სხვადასხვა სახის უგუნური ადგილობრივი პოლიტიკანები. მაგალითად, სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის არმიამ, თუ დაუჯერებთ კრემლის კონტროლქვეშ არსებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, შეაჩერა სამხრეთოსეთელთა ქართული „გენოციდი“, ბევრ მათგანს რუსეთის უცხოური პასპორტი აქონდა.

ევროპის მიერ საქართველოს გაყიდვა

დღემანდელი უკრაინაში ქართული მოდელის რეალიზაციის ალბათობა ძლიერდება დასავლეთის მოუხერხებელი რეაქციით რუსეთის სამხედრო ინტერვენციაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში. იმ მომენტში ნიკოლა სარკოზი, არა იმდენად, როგორც საფრანგეთის პრეზიდენტი, რამდენადაც ევროკავშირის მაშინდელი საფრანგეთის პრეზიდენტობის წარმომადგენელი, მოელაპარაკა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს ხუთდღიანი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, რაც გულისხმობდა რუსეთის ჯარების დაბრუნებას რუსეთში. მაგრამ რუსეთმა არა მხოლოდ არ შეასრულა შეთანხმების ეს საკვანძო მუხლი, მოსკოვმა ისიც კი მოახერხა, რომ შეეთანხმებინა ევროკავშირთან პირვანდელი შეთანხმების მომდევნო მოდიფიკაცია, რომელიც გააკრიტიკა ნატომ. რუსეთის ფედერაციისა და ევროკავშირს შორის ელვისებურად მზარდ ეკონომიკურ ურთიერთობებზე რუსეთის ჯარის შეყვანა სამხრეთი კავკასიის ორ რეგიონში, თითქმის არც ასახულია.

დასავლეთის არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ ირიბად ხელი შეუწყო რუსეთის ფაქტობრივ ანექსიას 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ბრიუსელმა, ბერლინმა, პარიზმა და სხვა ქვეყნებმა მისცეს სიგნალი კრემლს, რომ ევროკავშირი სიტყვებით მკვეთრად გააკრიტიკებს რუსეთს საგარეო ინტერვენციისთვის და რომ ეს იქნება მხოლოდ რიტორიკული. ამავე დროს, ევროკავშირს არ შეუძლია ან არ სურს, გამოიყენოს თავისი პოტენციურად დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება ყოველ საბჭოთა რესპუბლიკებში სამხედრო კონფრონტაციების თავიდან ასაცილებლად.

დღეს კრემლს, ეტყობა, იმედი აქვს, რომ შეძლებს განახორციელოს ამგვარი სიუჟეტი უკრაინაშიც. მაგალითად, ყირიმის ცნობილი პოლიტიკოსებმა და აქტივისტებმა უკვე დაიწყეს მოსკოვისადმი მიმართული მოწოდებების გახმაურება — დაიცვან შავი ზღვის ნახევარკუნძულის მოსახლეობა, სადაც უმრავლესობას ეთნიკური რუსები წარმოადგენენ. პრორუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სტრუქტურები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინაში, იმეორებენ რუსეთის მტკიცებას, რომ ევრომაიდან — ეს არის უკრაინის ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური ხელში ჩაგდება მცდელობა ექსტრემისტებისა და ეთნონაციონალისტების მიერ. ამ ბრალდებაში გაისმის მითითება იმაზე, რომ ცვლილება ხელისუფლებაში კვიევი შეიძლება გამოხდარიყო საბაზი რუსულად მოლაპარაკე რეგიონების უკრაინისგან გამოყოფის შესახებ.

მოსკოვისა და ბრიუსელის ატრიალი სენარის მნიშვნელობა

თავიდან რომ აიცილონ დაძაბულობის შემდგომი გამწვავება უკრაინის რეგიონებს შორის და ქართული სენარის განმეორება, ევროკავშირმა უკვე ახლავს უნდა გააფრთხილოს მოსკოვი, რომ კავშირი და მისი წევრების მოქმედებები უფრო სხვაგვარად ვიდრე ეს იყო 2008 წლის აგვისტოს სექტემბერში. კერძოდ, ბრიუსელმა დღეს უნდა აგრძნობინოს კრემლს, რომ იგი მზადაა, გამოიყენოს თავისი მნიშვნელოვანი ეკონომიკური წონა იმისთვის, რათა, აუცილებლობის შემთხვევაში, დააჯარიმოს მოსკოვი უკრაინელი სეპარატისტების მხარდაჭერისთვის. კრემლის ხელმძღვანელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად და დროულად შეიგნოს ახალი რუსული ანექსიის ყველა შედეგი პოსტსაბჭოთა სივრცეში და მიხედვით, რომ ქართული სენარის გამეორება უკრაინაში გამოიწვევს რუსეთსა და დასავლეთს შორის ყველა ურთიერთობათა ძირულ გადასინჯვას.

GEO POLITIKA
ლიტვა.

დელაიზის უპრეცედედო



ფიორსინიდან კივიისკენ მიმდინარე მთავარი საზღვარი

დენბროპეტროვსკის საბაეროსადესატო ბრიგადის 25-ე განყოფილების გაგზავნის შესახებ ადრე ოფიციალურად განაცხადეს უკრაინის თავდაცვის სამინისტროში. ასევე მოდიოდა ცნობები ნიკოლაივსკის დისლოკაციის შესახებ. არსებული მონაცემებით, ორივე გაერთიანება ამ ცოტა ხნის წინათ გამოიყვანეს შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან და დაუმორჩილეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ნიდერლანდის საგარეო სადამიარო მითხარა, რომ უკრაინაში უნდა მოხდეს შეიარაღებული ძალების ახალი ტრენინგის წინადადება



„ქვეყანაში მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები, და ამისთვის არსებობს ყველა დადასტურება“. ისინი „შეიძლება გამოყენებული იქნეს სასამართლო პროცესზე, რომელიც შეიძლება გაიმართოს, როგორც თავად ქვეყანაში, ისე საერთაშორისო დონეზე“, — განაცხადა ფრანს ტიმერმანსმა.

ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცმა განაცხადა, რომ ბუტინი უნდა შეუერთდეს საშუალოდ მისიას უკრაინაში კრიზისული სიტუაციის მონსერეგებისთვის

„თუ იგი მთელი პასუხისმგებლობით არ გამოიყენებს თავის გავლენას, შედეგად აღმოჩნდება ისეთ ადამიანად, ვინც თანხმობა მისცა შემდგომ სისხლისღვრაზე.“

ალექსანდრე ნავალინის დამატებითი მითხარა

რუსი მსახიობი, რომელიც ჩავიდა გაზაფხულის ქალაქ კოკშეტაუში გასტროლებზე, სპექტაკლზე მოვიდა მთვრალი და გადამწყვია, ურთიერთობა დაემყარებინა მაყურებლებთან. ორგანიზატორები იძულებული იყვნენ გამოეძახათ პოლიცია, შემდეგ კი დაებრუნებინათ გაყიდული ბილეთები. ადმინისტრაციული სასამართლო დაუსწრებლად განიხილავს საქმეს სულიგნობის შესახებ.



მითარება

დაბალი ხელფასები, პრემიების არასამართლიანად განაწილება, ხელმძღვანელთა მხრივ რიგითი თანამშრომლებისთვის არაპროფესიული საქმიანობის იძულება — აი, ზოგიერთი ის პრეტენზია, რომელსაც თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წინ 11 თებერვლიდან მოყოლებული მომხმარებელ მენეჯერთა ერთი ჯგუფი ხელმძღვანელებთან, კერძოდ, სააგენტოს უფროსს თემურ გიორგაძეს უყენებს და მის გადადგომას მოითხოვს.

მომხმარებელ მენეჯერებს აქციის დაწყებიდან მეცხრე დღეს ვენივე. ამ დროისთვის სამ კარავში 16 მენეჯერია რჩებოდა, როგორც ეს შემდგომ მათმა წარმომადგენელმა საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირების თავმჯდომარემ ნუპრი ჯინჭარაშვილი საუბრისას მითხრა. დანარჩენებმა აქცია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვეღარ შეძლეს. საუბარში, ბუნებრივია, მენეჯერთა პროტესტის მიზეზებსა და, ზოგადად, მათ წინაშე მდგარ პრობლემებს ეხებოდა.

სააგენტოს ის თანამშრომლები, რომელთა ერთი ნაწილიც ამჟამად შიმშილობს, ჩვენს პროფკავშირულ ორგანიზაციაში სულ წლიანახვერის წინათ განეკრძა, სადაც თავიანთი პრობლემებით მოგვაცხოვრებენ, — თქვა ბატონმა ჯინჭარაშვილმა. — მათ შორის იყო დაბალი ხელფასები — 380 ლარი, სხვადასხვა მიზეზთა გამო არასწორად განაწილებული პრემიები — ზოგიერთ თანამშრომელს იგი წელიწადში რამდენჯერმე, ზოგიერთს ერთხელ, ანდა, სულაც, არ ერგებოდა ხოლმე. თავისთავად პრემიის განაწილების პრინციპი სავსებით გასაგებია — მას ის მუშაკი იღებს, ვინც უკეთ მუშაობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მენეჯერთა შორის ექსტრემალურ ვითარებაში კოლექტიური ძალისხმევების შედეგია და როცა შედეგი კარგია, ცალკეულ თანამშრომელთა ასე გამოჩენილი გამოყოფა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ხოლო, თუ ეს ასე ხდება, მაშინ დღის წესრიგში მენეჯერების პრობლემები დგება.

კიდევ ერთი მეტად სერიოზული პრეტენზია ხელმძღვანელობასთან მათ ისაა აქვთ, რომ ისეთი სამუშაოების გაკეთებას ავალდებუნებენ, რომელთა შესრულება მათ სამსახურის დებულებით არ ეკუთვნის — მაგალითად, მაღალი თანამდებობის პირთა კუთვნილი ბინებში, აგარაკებში, მინის ნაკვეთებში მუშაობა. ყველაფერი ეს ზუსტად იმავე სქემით ხდებოდა, როგორც ყოფილ საბჭოთა ჯარში, როცა რიგითი ჯარისკაცები მაღალჩინოსანი სამხედროების მუქთა სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ პროფესიონალ მენეჯერთა ერთმა ნაწილმა ხელმძღვანელობის მხრიდან ასეთი მოპყრობა გააპროტესტა და ამას უკიდურესი ფორმით გამოხატავს.

კი ბატონო, მაგრამ უკმაყოფილების გამოხატვა უმაღლესი შიშობით დაიწყო?

— არა, თავდაპირველად მათ სააგენტოს უფროსს თემურ გიორგაძეს მიაკითხეს, რომელმაც იმის მაგივრად, რომ პრობლემების გადაჭრაზე ეზრუნა, ვისაც აქ მუშაობა არ მოგონოთ, მიბრძანდითო, მიუგო. ეს, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელი რიგითი თანამშრომლების მხარეს კი არ არის, არამედ იმათ უჭერს მხარს, ვინც მათ არასამართლიანად და არამართებულად ეპყრობოდა. ჩვენს პროფკავშირსაც მენეჯერებმა სამართლის ძეხნაში მოაკითხეს. მერე და მერე ისიც აღმოჩნდა, რომ მუშაკების სამსახურიდან დათხოვნაც მათი პიროვნებისა და მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, ზოგჯერ ვიღაცის სრულიად უმართებულო ზეპირი საჩივრის საფუძველზე ხდებოდა, და ეს იმ დროს, როცა მათ უკან ოჯახები არიან, გარკვეული ფინანსური ვალდებულებები აქვთ და კიდევ უამრავი სხვა ყოფითი თუ სოციალური პრობლემის წინაშე დგანან. რიგითი თანამშრომლებისადმი ასეთი მიდგომა უფრო ბატონყმურ მოპყრობას, ვიდრე 21-ე საუკუნის შესაფერ შრომით ურთიერთობებს ჰგავს.

სიტყვამ მოიტანა და იმასაც ვიტყვი, რომ ეს ზოგადად, საქართველოში დასაქმებული მუშაკის მიმართ დამსაქმებლების, ხელმძღვანელების მიდგომის საერთო სენი და, არცაბოლოად, საკანონმდებლო დონეზე დამტკიცებული აშკარა უსამართლობაა. სახანძრო სამსახურში კი, რომელიც ნახევრად გასამხედროებული სტრუქტურაა, ასეთი დამოკიდებულება ერთგვარად „გაუხმაურებელი წესის“ რანგშია აყვანილი.

შემშობის აქცია უკვე ამდენი ხანია მიმდინარეობს. რა რეაქცია აქვს მასზე სააგენტოს ხელმძღვანელებს ან, ვთქვათ, თბილისის მერიას?

— რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ ხნის მანძილზე მომხმარებელთა მიერ გამოთქმულ უამრავ პრეტენზიაზე არც სააგენტოს ხელმძღვანელებს, არც ადგილობრივ ხელისუფლებას ადეკვატური რეაქცია არ ჰქონია. საკითხი ასე დგას: თუ პროტესტის გამოხატველი მენეჯერები არ არიან

მართლები, მაშინ ისინი დასაჯონ, თუ მართლები — მაშინ დამნაშავეებს მოეთხოვოთ პასუხი. არადა, წარმოიდგინეთ, თებერვალში, მთელი დღე-ღამის მანძილზე მიდი და გაძელი კაცმა ქუჩაში კარავში, შიმშილსა და სიცივეში. ამ ხალხს სათანადო მოტივაცია რომ არ ჰქონდეს, მაშ რა გამოდის, გიჟები არიან?

ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ იყო მოსული სააგენტოს უფროსის მოადგილე კობა ბრეგვაძე, რომელიც მომხმარებელთა ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა, თუმცა კი მის სტუმრობას რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

მართლო მომხმარებლები აცხადებენ პროტესტს? დანარჩენი მენეჯერები კმაყოფილები არიან?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ აქტიურად მათთან დაახლოებით 30 კაცი თუ მიდის, დანარჩენებს, ელემენტარულად, სამსახურის დაკარგვისა ეშინიათ.

რაც შეეხება მენეჯერთა დანარჩენ პრობლემებს, მათ შორისაა კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების უქონლობა, კვების საკითხი, კიდევ სხვები.

ცალ-ცალკე მომჩივანი ყველა მართალია, ნათქვამია, ამიტომ შექმნილ საკონფლიქტო ვითარებაში უკეთ გასარკვევად სააგენტოს ხელმძღვანელებს მივაკითხე და უფროსის მოადგილეს მამუკა ხინციფაშვილს შევხვედი, რომელსაც ერთადერთი კითხვით მივმართე:

რა პოზიცია აქვს სააგენტოს ხელმძღვანელობას აღნიშნული კონფლიქტის მიმართ და კრიზისული მდგომარეობიდან რა გამოსავალს ხედავს?


— თავდაპირველად მინდა, გითხრა, რომ პროტესტს გამოხატავს მენეჯერთა მხოლოდ მცირე ჯგუფი, რომლის უსაფუძვლო პრეტენზიებს სამსახურის პირადი შემადგენლობის 99 პროცენტი არ იზიარებს, — თქვა ბატონმა ყირიმელმა. — თუ სამსახურიდან ვინმეა გათავისუფლებული! ეს შრომის კანონმდებლობის ყველა მოთხოვნის დაცვით მოხდა, მიზეზთა შორის კი სამსახურებრივი მოვალეობის არააღიარებლად შესრულება, არაფხიზელ მდგომარეობაში სამსახურში მოსვლა და სხვა. ეს ხალხი პროფკავშირის წევრია, მათ გარდა კიდევ რამდენიმე ათეული კაცია, მაგრამ ეს კანონით მონიჭებული უფლებაა, რაშიც არავის არ შეუზღუდავს. თუმცა კი იმასაც ვიტყვი, რომ პროფკავშირში განეკრება სამსახურებრივი წესრიგის დარღვევისგან იმპროტუი არ არის. გასაკებია, რომ სამსახურიდან დათხოვნილი პირები აღდგენას ითხოვენ, მაგრამ არსებობს ამის საყოველთაოდ აღიარებული ფორმა: თუ ვინმეს თავი უსამართლოდ დაჩაგრული მიაჩნია, შეუძლია სასამართლოს მიმართოს, რომლის დადგენილების შესრულება ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო იქნება — მოენიჭება ის თუ არა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ მშვენივრად იციან, რომ სააგენტოს ადმინისტრაციას სათანადო გადაწყვეტილებები — ყველა საპრეტენზიო საკითხთან დაკავშირებით, რომელითა ჩამოთვლას არ მოვყვები — შესაბამისი დოკუმენტაციით აქვთ არგუმენტირებული, ამიტომ სასამართლოს იმედი, ფაქტობრივად, არა აქვთ. ამჟამინდელ მდგომარეობასაც სწორედ ეს ახსნა აქვს.

რაც შეეხება მენეჯერთა ხელფასების სიმცირეს, ამასთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თქვენი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება: რიგითი მენეჯერები ხელზე 700 ლარს იღებენ. რაც შეეხება პრემიებს, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრა, რომ მას ის მუშაკები იღებენ, ვინც ამას თავისი პროფესიული მოვალეობის პირობაზე უსრულეობისას იმსახურებენ. სხვა ბრალდებები კი — არაპროფესიული საქმიანობის შესრულების მოთხოვნა ხელმძღვანელობის მხრიდან, სრულიად უსაფუძვლოა, ხოლო, რაც შეეხება თანაფარდობას ხელმძღვანელ და რიგით რგოლებს შორის, ადმინისტრაციის რიცხოვნობა დაახლოებით 150 კაცია და არა 600, როგორც ეს თქვენთვის უთქვამთ.

ოთარ ტურაბაიძე.

P. S. რძეა რედაქციაში „კონფლიქტის ზონიდან“ მობრუნებულმა ამბავი ხელმძღვანელობას ვუამბე, სავსებით ლოგიკური კითხვა დამისვეს: ეგ კი ასეა, მაგრამ, საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის თაობაზე მერიში? ამ ამბავმა მეც დამინტერესა და ბატონ მამუკა ყირიმელს დაგუჯავშირდი, რომელმაც დამიხატინა, რომ ხელმძღვანელობაში გარკვეულ ცვლილებათა შემდეგ, სააგენტოს კურატორი დედაქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე შოთა ხინციფაშვილი ყოფილა. მერიის მაღალჩინოსნის ტელეფონის დადგენა დიდი ხნის წინააღმდეგ იქაური ცნელი საზის ოპერატორის მეშვეობით შეეძლო, თუმცა კი აღნიშნულ ნომერზე აბონენტთან დაკავშირება ორი დღის რეკის შედეგად ვერაფრით შეეძლო.

კვალი დროში



არტისტი, მწერალი, კაიყა

სიკვდილმა ვერაფერი დააკლო მის სახელს. რაც დრო გადის, მით უფრო გვენატრება ეს ლამაზი კაცი — ზრდილი, გულკეთილი, ტკბილმოუბარი, წიგნიერი და უღალატო მეგობარი.

ჯემალ მონიაშვილი — საქართველოს დამსახურებული არტისტი, ბავშვობიდანვე თეატრზე შეყვარებული, წლების განმავლობაში მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ერთ-ერთი კოლორიტული სახე, გამორჩეული მეტყველებით, თამაშის მანერით, თანდაყოლილი ბუნებრივობით. ის ცვენაზე არასოდეს ბობოქრობდა, მხოლოდ ზედმინეებით კარგად განასახიერებდა დრამატულ თუ კომედიურ როლებს. შესანატრი უშუალოდ და თავისუფლად მისი წარმატების მთავარი პირობა იყო.

შესანიშნავი არტისტი, დეკლამატორი და სატილენგიზო სპექტაკლების ერთ-ერთი მთავარი გმირი ხელმძღვანელი მწერალიც იყო. მისი მოთხრობები, ცენარები, პუბლიცისტური წერილები ჭეშმარიტი მწერლური ნიჭიერებით გამოირჩევა. ბოლოს ეს ნაწერები საოცარი გემოვნებით თემატურად დაალაგა და ორ წიგნად გამოცა... ძირითადად კავთისხევეში, შიდა ქართლის ამ უღამაზეს სოფელში წერდა, სადაც პანია, კობია მამული მოიწყო და მოცალეობისას სულ იქით მიეჩქარებოდა. გიორგი შატბერაშვილისეულ თვალადურ ქართულს შესტრფოდა და მუდამ ცდილობდა ამ ბედაური ქართულით ეწერა და ემეტყველა...

საბედნიეროდ, გამოსდიოდა კიდევ... 23 თებერვალს 75 წელიწადი შეუსრულდებოდა. ეს სულით და სხეულით ლამაზი კაცი, დახვეწილი ინტელიგენტი, დიდებული მოღვაწე და კაიყა, დასაძინა, რომ სამოცდაათისაჯ ვერ გახდა... უკურნებელმა სენმა ნაადრევად შეინარა მისი სიცოცხლე და შემოქმედება. ჯემალ მონიაშვილი თაობის სიამაყე იყო. დარწმუნებული ვარ, მომფერებელი და დამფასებელი არასოდეს მოაკლდება მის სახელს...

სპარტაკ ქოზულია

არ ბძინებია არასდროს მუშობდა... ჯემალ მონიაშვილს ხსოვნას

ორთავ სოფელსა შინა მყოფს მინდა, გითხრა, რომ სულში კვლავ ცრემლი ჩამდის, არ გიძინებია არასდროს მშვიდად, არ გაძინებდა საქვეყნო დარდი. „არ ვსდევ ფამთასვლას“ — ეს ისევე მე გარ. ჭექადა შენი ხმა, ვით საყდრის ზარი, დრო ვერას აკლებს მართოსულთ, ჯემალ... დრო მართლა საქმის საოხი არის. გარდასულ დღეთა თაფურცელს გაგწილი, გარდასულ ფიქრთა ნაკვალევს ვსვამ, საშველს ყოველთვის ეძებდი ცაში, მოგვაგადი ხატ-ჯვარს შეწირულ მხედარს. კურთხევა, რაც შენ გულის ხმა გესმა, კურთხევა, შენი მკლავის და მაჯის, კურთხევა, გაგლიღ შენს ყოველ დღეს და, შენს მიერ ყოველ გადადგმულ ნაბიჯს. ორთავ სოფელსა შინა მყოფს მინდა, გითხრა, რომ სულში კვლავ ცრემლი ჩამდის, არ გიძინებია არასდროს მშვიდად, არ გაძინებდა საქვეყნო დარდი. მრამკლე სალღიანო

სოჭი - 2014



ნორვეგიამ ათს უნია

სოჭის ზამთრის ოლიმპიადის 14 დღის თავზე ნორვეგიის ნაკრებმა ოქროს მედლების რაოდენობა ათამდე დაამრგვალა და საერთო ჩათვლაში ლიდერობას განაგრძობს. ნორვეგიელებმა მორიგ წარმატებას სათხილამურო ორჭიდში მიაღწიეს, სადაც გერმანელებს დრამატულ ბრძოლაში აჯობეს.

გადავანიშვილა ოლიმპიადა მე-19 ადგილზე დაასრულა

ფიზურულ სრიალში საქართველო წარმატებულმა სპორტსმენმა ელენე გედეგანიშვილმა სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა მე-19 ადგილზე დაასრულა და რუს ჩემპიონ ადელინა სოტნიკოვას 77.44 ქულით (I) ჩამორჩა.



კი მეტი ქულა (149.95) მიიღო, ვიდრე ელენე ჯამში. აქვე ვთქვათ, რომ რუსმა ვარსკვლავმა სამხრეთკორეელ იუნა კიმს მცირედით აჯობა და იგი ვერცხლს დააჯერა, ბრინჯაოს მედალი კი ასევე სახელოვან იტალიელ კაროლინ კოსტინერს ერგო.

კალათბურთი

ეპროტასზე ბერკედიანაღვი დაკოპალებდა

ევროლიგის შემდეგ რანგით მე-2 ევროპულ საკალათბურთო ტურნირ ევროთასზე მე-2 ჯგუფური ეტაპის მატჩები დასრულდა და მერვედფინალური წყვილებიც დაკომპლექტდა:



ჭაღრაკი

ჯოხავეამ მინსკის ტურნირი მოიგო

მინსკში გამართული დავიდ ბრონშტეინის მემორიალი ბაადურ ჯოხავეას (2706) გამარჯვებით დასრულდა. ქართველი დიდოსტატი ბელარუსში პირველ ნომრად გახლდათ განთესილი და ფავორიტის სტატუსი სრულად გაამართლა.



ჯოხავეამ 10 ათასი დოლარი გამოიმუშავა და რეიტინგშიც წინსვლა ელის. სავარაუდოდ, ბაადურს 2715.8 პუნქტი მოუტროვდება და კლასიფიკაციაში 33-ე ადგილამდე ალზევდება.

მანუჩარ ბიორგაძე

ფეხბურთი

„ტოტენჰემი“ და „ლასიო“ საქმე გაირთულა



საინტერესოა, რომ ბაადურის დარი მონაგარი აღმოჩნდათ უკრაინელებს - სერგეი ფედორჩუკს (2641) და მიხაილო ოლექსიენკოს (2630), თუმცა, ქართველმა მოჭადრაკემ მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

აილო ინგლი-სელთა კარი და „დნიპროს“ მოაგებინა. ფლორენციის „ფიორენტინა“ „ესპინერგს“ ეწვია და შინ გამარჯვებულნი დაბრუნდა. „იებმა“ მეტოქეს საქმე პირველსავე ტაიმში მოუთავსეს და მომდევნო ეტაპზე გასვლაც თითქმის გაინაღდეს.

საინტერესოა, რომ ბაადურის დარი მონაგარი აღმოჩნდათ უკრაინელებს - სერგეი ფედორჩუკს (2641) და მიხაილო ოლექსიენკოს (2630), თუმცა, ქართველმა მოჭადრაკემ მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

საინტერესოა, რომ ბაადურის დარი მონაგარი აღმოჩნდათ უკრაინელებს - სერგეი ფედორჩუკს (2641) და მიხაილო ოლექსიენკოს (2630), თუმცა, ქართველმა მოჭადრაკემ მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

საინტერესოა, რომ ბაადურის დარი მონაგარი აღმოჩნდათ უკრაინელებს - სერგეი ფედორჩუკს (2641) და მიხაილო ოლექსიენკოს (2630), თუმცა, ქართველმა მოჭადრაკემ მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

საინტერესოა, რომ ბაადურის დარი მონაგარი აღმოჩნდათ უკრაინელებს - სერგეი ფედორჩუკს (2641) და მიხაილო ოლექსიენკოს (2630), თუმცა, ქართველმა მოჭადრაკემ მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

საინტერესოა, რომ ბაადურის დარი მონაგარი აღმოჩნდათ უკრაინელებს - სერგეი ფედორჩუკს (2641) და მიხაილო ოლექსიენკოს (2630), თუმცა, ქართველმა მოჭადრაკემ მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

საინტერესოა, რომ ბაადურის დარი მონაგარი აღმოჩნდათ უკრაინელებს - სერგეი ფედორჩუკს (2641) და მიხაილო ოლექსიენკოს (2630), თუმცა, ქართველმა მოჭადრაკემ მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

საქმე №1305-2013

საარბიტრაჟო ბანკინგა

შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კტ“-ს სახელით საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ 18 თებერვალი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“ საარბიტრაჟო მოპასუხე: დავით ჯანსოთელი, გიორგი ასაბაშვილი დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ განხილვის მიღების საკითხი და

გ ა მ თ ა რ კ ე ვ ი ა :

შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კტ“-ს მიერ 2013 წლის 10 დეკემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხის დავით ჯანსოთელისა და გიორგი ასაბაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 8 აპრილს ერთი მხრივ შპს „ნოვა კრედიტი“-ს და მეორეს მხრივ, დავით ჯანსოთელს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება №041311698, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტი“-ს მოპასუხე დავით ჯანსოთელზე გასცა 1000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. სესხის დაბრუნების ვადა განისაზღვრა 6 თვე.

ხელშეკრულების თანახმად სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის, დავით ჯანსოთელის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგნად წარმოადგინდა ავტომობილი JEEP GRANDCHEROKEE, რომლის მახასიათებლებია: ტრანსპორტის გამოშვების წელი - 2000; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №U4GW48N6YC232126.

იმავე დღეს, 2013 წლის 8 აპრილს შპს „ნოვა კრედიტი“-ს და გიორგი ასაბაშვილს შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გ. ასაბაშვილმა აიღო პასუხისმგებლობა შპს „ნოვა კრედიტი“-ს და დავით ჯანსოთელს შორის დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრ ყველა ვალდებულებაზე.

2013 წლის 29 აპრილს სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმადაც სესხის ძირითადი თანხა გაიზარდა 1000 აშშ დოლარით. ხელშეკრულების 3.2.11 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვეს, მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში, პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე ირიცხება მიუღებელი სარგებლისა და ძირითადი თანხის ჯამის 0.3% ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით ჯანსოთელსა და გიორგი ასაბაშვილს ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ და მათი რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ისინი მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდნენ.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დავით ჯანსოთელსა და გიორგი ასაბაშვილს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შენდები საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე დავით ჯანსოთელი, ისევე როგორც მოპასუხე გიორგი ასაბაშვილი რეგისტრაციისა და ამაღროდ მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფებიან, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი წყლიან და მას შეტყობინება ვერ

ბარდება, ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟო ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიიჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს განჩინება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კტ“-ს დებულებით,

და ა დ გ ი ნ ა :

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით მოპასუხე დავით ჯანსოთელსა (პირადი №27001003532) და გიორგი ასაბაშვილს (პირადი №12001020315) ეცნობოს, რომ მათ წინააღმდეგ შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კტ“-ს წარმოებაში შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. დავით ჯანსოთელსა და გიორგი ასაბაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ევსემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებულში (პასუხში), მითითებული უნდა იქნას: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ეყრდნობა თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებულში საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურებაც შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგანიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე დავით ჯანსოთელსა და გიორგი ასაბაშვილს ეცნობოს, რომ 2014 წლის 14 მარტს 11:00 საათზე შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დაინშულია მოთავსდეს საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელზე - სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით დავით ჯანსოთელისა და გიორგი ასაბაშვილის მიმართ.

5. დავით ჯანსოთელსა და გიორგი ასაბაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადგენას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზე ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე განჩინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო განჩინებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პალეონტოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

აპუსალომ ვაჟა

ძმისწულეები ქეთი, გოგი გაბუნები, რძალი თინა თავაიშვილი, სიმე დეკანოზი მიქაელი (ფოფხაძე) ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ შალვას ძე ბაბუნია

კომპანია „გეოპლანტის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სათუნა და ირაკლი გაბუნებს, შალვა ცეცხლადეს მამისა და სიმამრის

ზურაბ ბაბუნიას

გარდაცვალების გამო.

ღაპირისპირება

მარინა ბერინა: ვნახოთ, სანამდე მიიყვანს ნიკა მუჟაგანაძეს თავისი „არაჩვეულებრივი“ გონება

კულტურის სამინისტროს ღონისძიებების დეპარტამენტის უფროს მარინა ბერინა უფლებამოსილია ნიკა მუჟაგანაძე სასამართლოში უჩივოს. პარასკევს მან პროკურატურაში სარჩელი შეიტანა. ნიკა მუჟაგანაძე 2009-2014 წლებში საქართველოს კონცერტებზე დასარჯული თანხების მიზნობრიობის გამოძიებას მოითხოვს. „ჩემი, როგორც უფლებამოსილის, კომპეტენცია, გავარკვიო, სად მიდის ჩემი და თქვენი გადახდილი ფული. რადგან ამ ყველაფერს კორუფციის ელფერი აქვს“, - აცხადებს იგი.



„უთქვამს. ნიკა მუჟაგანაძეს კომისიის დასკვნისა არ სჯერა და ამიტომაც ითხოვს ამ საკითხით კიდევ ერთხელ დაინტერესდნენ სამართალდამცავები!“

ნიკა მუჟაგანაძის ხელმძღვანელობით, ორგანიზაცია „უფლება“ დამცველთა გაერთიანებამ კულტურის სამინისტროდან რამდენიმე მილიონ-ჩაბარების აქტი გამოითხოვა, რომელსაც მარინა ბერინის ხელმოწერა აქვს, თუმცა, ამ აქტებს არ მოჰყვება ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი, რაც, ბუნებრივია, ეჭვებს აჩენს.



სამინისტროში უკვე ჩატარდა დოკუმენტების აუდიტი, მაგრამ დარღვევებზე არავის არაფერი

„მინდა, რომ ბოლომდე მიყვანოს ეს საქმე და ერთხელ და სამუდამოდ გაეცეს პასუხი ამ კითხვებს. წელიწადნახევარი ჩემს წინააღმდეგ აგორებულია „შავი პიარი“, ესეც ერთი ნაწილ-თავანია. ვნახოთ, რას იტყვის გამოძიება და როდემო დაიწყება ეს ამაზე... მეგონა, ქვეყანას ვემსახურებოდი... დაველოდები, სანამდე მიიყვანს ნიკა მუჟაგანაძეს თავისი „არაჩვეულებრივი“ გონება. მართალი გითხრობ, მეგონა, აქეთ დამირეკავდა ვინმე უფლებამოსილი და მეტყობდა, ქალბატონო მარინა, ჩემი დახმარება ხომ არ გინდაო, მაგრამ ასე არაა...“ - დასძინა მან.

ნია ფიფია

ალიან-ჩალიანი

სასაზღვრო პოლიციაში გვიმს აკიპაუსი ნეპრები დააკავა

შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესების დარღვევისთვის გემის ეკიპაჟის წევრები დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესის დარღვევის ფაქტზე პანამის დროშის ქვეშ მცურავი მშრალტვირთმიანი გემის ეკიპაჟი - აზერბაიჯანის მოქალაქე ბაგაბაი 5. და ეკიპაჟის წევრები: ინდოეთის - 3, აზერბაიჯანის - 4, უკრაინის - 2 და თურქეთის რესპუბლიკის 1 მოქალაქე დააკავეს.

თვითმკვლელობა კაზრეთში

ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში მცხოვრებმა 41 წლის სლავა კუჭაშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. როგორც დაბა კაზრეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ჯემალ მათაძემ განაცხადა, სლავა კუჭაშვილი კომპანია „R.M.G. კუპერში“ მუშაობდა, ის სამსახურიდან დაახლოებით 5 თვის წინ გაათავისუფლეს. მისივე თქმით, ოჯახი ბანკიდან გამოტანილ კრედიტებს ვეღარ ფარავდა, მას ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა, შესაძლოა, მიიმე სოციალური მდგომარეობა გახდა მისი თვითმკვლელობის მიზეზი.

08მარტისი

ჩვენი კარგადიანი

ვირუსებს კარგი დღე არ დაუდგებათ!

როგორ არ ვიპავეყოფოთ ასივების საზონში

თქვენ იცით, რომ ადამიანი გაცივებასთან და გრიბთან ბრძოლაში სიცოცხლის თითქმის 6 წელს ხარჯავს? ძნელია, ეს დრო გაატაროთ ცხვირის ცემინებაში, სველებაში, თავის ტკივილში, იწვე გულღმა საწოლში.

მაშასადამე, წელიწადის „გაცივების“ დროს უნდა გამოვიჩინოთ ყურადღება იმუნიტეტისადმი. დაიცავით მარტივი წესები.

1. აუცილებლად გახიოქინეთ

ისინი, ვისაც დღე-ღამეში 7 საათზე ნაკლები სძინავთ, თითქმის 3-ჯერ უფრო ხშირად ხდებიან ავად გაცივებით. თუ სამუშაო დღეებში ამას ვერ ახერხებთ, იწვეით ლოჯინში უქმე დღეებში. სამუშაო დროს ეცადეთ, დაისვენოთ ადეკვატურად. ოღონდ ნუ მონიდომებთ წესრიგში მოიყვანოთ დარღვეული ძილი დამაძინებელი საშუალებების დახმარებით. ძილის კარგი დამხმარეა დღის სწორი რეჟიმი, საღამოს გასეირნებანი, კარგი ორთოპედული ბალიში.

2. ნუ დაჯდებით განტვირთვის დიეტაზე

ზამთარში ორგანიზმი იღებს მარაგს, რომ თავი დაიცვას სიცივისგან. თუ მას წაართმევთ ცხიმის აუცილებელ დანაზოგს, ზარალიდება, უწინარეს ყოვლისა, იმუნიტეტი. განსაკუთრებით მაგნა გაუცხიმოვნებელი დიეტები, ვინაიდან ლიმფოციტებისა და მაკროფაგების — ჩვენი დამცველი უჯრედების — კედლები ლიბიდებისგან, ესე იგი ცხიმებისგან, შედგება. მათ შორის ქოლესტერინისგან, რომ-




ლისაც ასე პანიკურად ეშინია ცხოვრების ჯანსაღი წესის ბევრ მოყვარულს.

გრიპის სეზონური ეპიდემიის დროს რეკომენდებულია საკვებში კალორიების ოდენობის გაზრდაც კი და ვიტამინურ-მინერალური კომპლექსების მიღება. განსაკუთრებით სასარგებლოა სელენი და თუთია. ეს მიკროელემენტები დაიცავენ იმუნიტეტს. გახსოვდეთ: ზამთრის რაციონში უნდა იყოს საკმარისი როგორც მცენარეული, ისე ცხოველური წარმოშობის ცილა. იმუნოგლობულინები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმის სიმყარეს დაავადებებისადმი — ესაა ცილები, რომელთა სინთეზისთვის საჭიროა შეუცვლელი ამინომჟავების მთელი ნაკრები. თუ გახსნობას აპირებთ, ეს მარტის შუა რიცხვებიდან უნდა გააკეთოთ.

3. მარტამ ნურც ზედმეტ კალორიებს მიიღებთ

ცხიმების სიჭარბე თრგუნავს იმუნიტეტს. ცილების დიდი ოდენობა ტვირთავს კუჭ-ნაწლავთა ტრაქტს და თირკმელებს. შაქრის სიჭარბე — არის

პირდაპირი გზა სიმსუქნისკენ, რომელიც იმუნიტეტის კიდევ უფრო მეტი მტერია, ვიდრე ნამეტანი სიგამხდრე.



4. შორს ჩვენთან ცუდი ამოცინა

იმის ალბათობა, რომ გადავეყაროთ გაცივებას და გრიპს, იზრდება მრავალჯერ, თუ განიცდით სტრესს ან დათრგუნული განწყობილება გაქვთ. და კიდევ, გაცივება — ესაა იმის ნიშანი, რომ ადამიანმა გადატვირთა თავისი თავი ზომამე მეტად, და მოდის ყოველივე ზედმეტი უხვად, ცხვირიდან. კარნახი: დაიხიეთ უკან, დაისვენეთ, მოიწყვეთ ტაიმ-აუტი ერთ-ორი დღით.

5. იყავით აქტიური, მარტამ იცოდათ ზომას

სპეციალისტებმა შენიშნეს, რომ სპორტსმენებს მაღალი ზეინტენსიური დატვირთვის პერიოდში ზოგიერთი იმუნოგლობულინები უბრალოდ ქრებიან — ორგანიზმი მთელ ძალას ხარჯავს იმაზე, რომ მიუახლოვდეს რეკორდს, მას უკვე აღარ აინტერესებს თავის დაცვა ინფექციებისგან. ესაა იმის მიზეზი, რომ ჩემპიონები ხშირად ცივდებიან. ფიტნესის ბევრი თაყვანისმცემელი ისეთი თავგამოდებით ვარჯიშობს, რომ ასევე რისკის ჯგუფში აღმოჩნდებიან ხოლმე.

ბანსონი: გაცივების სეზონში მიიმე ვარჯიშები ამცირებენ იმუნიტეტს. შეზღუდეთ ტრენაჟორებით ვარჯიში.

აი სექსს უფრო ხშირად უნდა მიმართოთ. მაღალი ლიბიდო ზრდის ანტისხეულების ოდენობას სისხლში.

6. გაიკაშეთ სხეული

ცივი შხაბი, ფეხებზე კონტრასტული წყლის გადავლება — ჩვენი კანისთვის სტრესია, რისგანაც ორგანიზმი თავს იცავს სპაზმით და ანტისხეულების დიდი ოდენობით გამოდევნით. თუმცა, ბევრი ექიმი გვაფრთხილებს: ძალიან ცივი ტემპერატურების (ბანაობა ყინულიან წყალში) ბოროტად გამოყენება არ შეიძლება.

7. ხშირად დაიხანეთ სელოში სანახევრად

ხოლო თუ საშუალება არაა — პერიოდულად გაინმინდეთ ხელები სადენინფექციო ხელსახოცებით. გაცივების დაავადებათა ყველა შემთხვევის 90 პროცენტამდე ხელებიდან ხდება: როდესაც ერთმანეთს ვართმევთ ხელს, ვაღებთ კაბინეტის კარებს, სახელურებზე გვიკიდია ხელი მეტროში თუ ავტობუსში. ადამიანი, რომელიც არასოდეს იშორებს ცხვირსახოცს, ეხება ცხვირს, „იჭუჭყიანებს“ ხელს ვირუსის ნაწილაკებით, შემდეგ კი ტოვებს ამ ნაწილაკებს საგნებზე. თავის მორიგ „მსხვერპლს“ ვირუსი შეიძლება ელოდებოდეს კარის სახელურზე ან ტელეფონის ყურმილზე რამდენიმე საათის განმავლობაში. შემჩნეულია: ის, ვინც სამუშაო დღის განმავლობაში 5-ჯერ ინმინდავს ხელს ანტიბაქტერიული პელიუმით, ნაკლებად ახველებს და ნაკლებად ავადდება გრიპით.

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაქაქაქა ვახუსეპიქაქა



ვის დაჭირავს აპირავს პროკურატურა?

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან იმ პირთა სიას ითხოვს, რომლებიც 2010 წელს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლის სახით იმყოფებოდნენ. პროკურატურის წერილიდან ირკვევა, რომ საქმე თანხების მითვისება-გაფლანგვის ფაქტს ეხება. ნაციონალურმა ექვნი აქვთ, რომ პროკურატურა ახლო მომავალში მათ დანოკებას გეგმავს. 2010 წელს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოდან 2000 დამკვირვებელი გაემგზავრა. მოგვიანებით გაიკვავა, რომ ისინი ზონდერები იყვნენ.

„ახალი თაობა“

„აუტინმა აღიარა, რომ სოჭი კოლხეთია, აფხაზეთში კი რუსეთმა ანეძისა განასოცოცია“

— აცხადებს ისტორიკოსი სვიმონ მასხარაშვილი, — პუტინისა და ზოგადად, რუსეთის ელიტის გონებაშეზღუდულობის მორიგი გამოხატულებაა იმის მოყოლა, აქ იასონი მოვიდა და წაიღო ოქროს სანძისიო, მაშინ გამოდის, რომ ეს ტერიტორია კოლხეთია, ანუ, ფაქტობრივად, პუტინმა აღიარა, რომ სოჭი კოლხეთია, კოლხეთი კი საქართველო რომაა, იცის ყველამ, ვისაც ერთხელ მაინც გადაუშლია ისტორიის წიგნი, ან „დისქავერი“ უნახავს. იბერიის ესპანეთშიც არსებობს, ამიტომ უნდა დააკონკრეტო, დასავლეთით ვიღისა იბერიის გულსხმობ თუ კავკასიისას. იგივე ვითარებაა „გეორგიასთან“ დაკავშირებით. უნდა თქვა, აშშ-ის შტატზე საუბრობთ თუ ევროპულ „ჯორჯიაზე“. კოლხა კი ის ტერმინია, რომელთან დაკავშირებითაც კითხვა არ არსებობს, რადგან კოლხეთი ერთია და არ არსებობს ჩინური, აფრიკული ან სხვა კოლხეთი. მედეას მითი პირდაპირ მიჯაჭვულია საქართველოსთან, ფაქტობრივად, რუსეთმა ის ტოტი მოჭრა, რომელზეც იჯდა“.

„მეხრია“

ადგილობრივი კვირცხის წარმოებას გაზარდოთ თითქმის 100 პროცენტით ათვით

ადგილობრივი კვირცხის წარმოება კრიზისი არათუ დაძლია, რეკორდულ მაჩვენებელზე გავიდა. იმპორტული ნაწარმის მოზღვავეების გამო, ადგილობრივ წარმოებას დიდი ხნის განმავლობაში უჭირდა. ამჯერად ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ბაზარზე უცხოური კვირცხი არსად შეინიშნება. მენარმეები აცხადებენ, რომ ადგილობრივი კვირცხის ბიზნესს საქართველოში განვითარების ახალი შესაძლებლობა მიეცა, მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის განცხადებით, ქართული წარმოების კვირცხი ადგილობრივ ბაზარზე პოზიციებს იმყარებს. ამ დროისთვის მისი წილი ბაზრის 95 პროცენტს შეადგენს.

„როზუნანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

- რბმდენი საათი გძინავთ დღეში?
- ორიდან სამ საათამდე, ექიმო!
- მაგრამ ეს ცოტაა!
- მე მყოფნის. ღამით ათი საათი მძინავს.

ახალბაზრად ქალი სარკის წინ ტრი-ალებს:

- როგორ მიყვარს ჩემი საცხე მკერდი, როგორ მომწონს ჩემი დახვეწილი თქოები, როგორ ვაღმერთებ ჩემს ჩამოქნილ ფეხებს, მაგრამ რა ვუყო ქონს, ყოველივე ამას რომ ფარავს?



ავტომობილებმა გოგო სასიერნოდ მიიწვია თავისი სარბოლი მანქანით. ქალაქ-გარეთ მოსახვევში მძღოლმა მანქანა ვერ დაიმორჩილა და ფერდობიდან აფრენილი პაერში რამდენიმეჯერ გადაატრიალდა, მაგრამ ბოლოს მაინც მშვიდობიანად დაეშვა ტყის პირას მიწაზე ოთხივე ბორბლით.

დმბრი პორნოფილმს უყურებს. - შეეცადე, რომ დღეს ბოლომდე დაი-მანსოვრო ეს ფილმი და არა მხოლოდ მისი ფინალური ნაწილი.. - ეუბნება ცოლი.

ავტორთა საჭურადავობა! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ახვლედიანის (მრფივი) პერმისიონის) ქ. 19

გამომცემელი: შპს „თბილისი-20“-საზვეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)



მთავარი რედაქტორი ალექს ალანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოზულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24